პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 190 (10887) | სამშაბათი, 13 აგვისტო, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

ფესტივალის იდეების ზეიმი

სადღესასწაულო განათების ბრწყინვალებით, ახალგაზრდობის მხნე სიმღერებით, რომლებიც ყველა ენაზე გაისმოდა, დამთავრდა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალი. ორ კვირას მსოფლიოს ახალგაზრდობის წარმომადგენლები მოსკოვში გარემოსილი იყვნენ საყოველთაო ყურადღებით და გულიანადი სიყვარულით. ამ დღეებში ყველა ხალხის ახალგაზრდა თაობის ოცნება და ფიქრები განუწყვეტლივ მიმართული იყო მოსკოვისაკენ, სადაც მიმდინარეობდა ახალგაზრდობის ყველა საერთაშორისო შეხვედრიდან ყველაზე ფართო და წარმომადგენლობითი შეხვედრა — მასში მონაწილეობა მიიღო 131 ქვეყნის 34 ათასმა ქალაქელმა და ჭაბუკმა! VI მსოფლიო ფესტივალი — ახლა ამას ასინიც აღიარებენ, ვინც სკეპტიკურად ან მტრულადაც კი ეკიდებოდა მას — საერთაშორისო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი მოვლენა გახდა. ფესტივალის ლოზუნგი „მშვიდობა და მეგობრობა!“ უძლეველი ძალით იკაფავს გზას დედამიწის ათეულ მილიონობით ახალგაზრდა ადამიანის გონებისა და გულისაკენ.

ფესტივალის მიზანი იყო მიღწეული ყოფილიყო უკეთესი ურთიერთგაგება სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდებს შორის. და ეს მიზანი მიღწეულია.

„ფესტივალის ყოველი დღე გვარწმუნებდა, თუ რა მტკიცე და ურღვევი შეიძლება იყოს მეგობრობა ყველა ქვეყნის ახალგაზრდა თაობისა, რომელიც იბრძვის მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში. ჩვენ უფრო ნათლად გავიგეთ, რომ ჩვენ, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ადამიანებს, გვაერთიანებს საერთო დიდი მისწრაფება — ვიცხოვროთ და ვიშრომოთ მშვიდობიანი ცის ქვეშ“, — ნათქვამია ფესტივალის საერთაშორისო კომიტეტის განცხადებაში, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა დახურვის ზეიმზე.

ტოვებენ რა სტუმართმოყვარე მოსკოვს, ფესტივალის მონაწილენი თან წაიღებენ დაუიწყარ შთაბეჭდილებას აქ გატარებულ დღეებზე. დიდხანს დარჩება მათს ხსოვნაში ახალგაზრდობის დღესასწაულის გახსნა, მილიონობით მოსკოველთან შეხვედრა, რომლებიც ქუჩებში გამოვიდნენ მისალმების სიტყვებით სხვადასხვა ხალხის შვილებისადმი, ფესტივალის აღსანიშნავ შესანიშნავ ბალეტსა და დარბაზობებზე კრემლში. დელეგატები არ დაივიწყებენ ახალგაზრდათა ხელით გაშენებულ მეგობრობის პარკს, და დიდხანს იციმციმებს მათ თვალში იმ კაშკაშა კოცონის ალის ანარეკლი, რომელიც აინთო კოლონიური ქვეყნების ახალგაზრდობასთან სოლიდარობის საღამოზე. შინ დაბრუნების შემდეგ, განაგრძობენ რა ბრძოლას მშვიდობისათვის დედამიწაზე, ისინი თავიანთ გვერდით იგრძნობენ ერთგულ მეგობრების მხარს, როგორც მას გრძნობდნენ იმ საღამოს მანეულის მოედანზე, როცა ნახევარმილიონმა ხმამ ერთსულოვნად უთხრა „არა“ ომს, „არა“ ატომგულის იარაღს!

ფესტივალზე შეიკრიბნენ არა მარტო სხვადასხვა ეროვნებისა და რასის, არამედ სხვადასხვა შეხედულებისა და პოლიტიკური რწმენის ახალგაზრდა ადამიანები. ჩამოვიდნენ სოციალისტები და რადიკალები, კომუნისტები და კათოლიკეები. მათი დამოკიდებულება მსოფლიოში მიმდინარე ამბებისადმი ბევრ რამეში განსხვავდება ერთმანეთისაგან. ზოგი ვინმე ამ საფუძველზე ფესტივალს ჩაფუშვას უქადდა. ხელ სხვანაირად გამოვიდა. მართლაც, შეხვედრები ფესტივალზე სრულიადაც არ იყო იდეალური. ადამიანები ხშირად კამათობდნენ, ეცავდნენ საკუთარ თვალსაზრისს, ზოგჯერ არ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს და მიუხედავად ამისა კვლავ ხვდებოდნენ ერთიმეორეს, ცდილობდნენ შეთანხმებულიყვნენ, მიეღწიათ ურთიერთგაგებისათვის. „ხალხები უფრო ხშირად უნდა იკრიბებოდნენ ასეთ ფესტივალებზე, — თქვა ახალგაზრდა პარლამენტარების შეხვედრაზე ბრაზილიის პარლამენტის დეპუტატმა როუფერეირამ, — ადამიანებს ერთმანეთისა ესმით არა ზარბაზნებისა და ტანკების დახმარებით, არამედ ენის, აზრთა გაზიარების დახმარებით“.

VI მსოფლიო ფესტივალის წარმატება სწორედ იმით აიხსნება, რომ ახალგაზრდობას სწამს გონების ძალა, სწამს, რომ ადამიანებს, ხალხებს შეუძლიათ შეუთანხმდნეს და კიდევაც უნდა შეუთანხმდნენ ერთმანეთს. ქვეყნებსა და სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის იდეას, მიუხედავად მათში გაბატონებული სოციალური სისტემებისა, მხურვალედ უჭერს მხარს ახალგაზრდობა. ეს გასაგებიც არის: ახალგაზრდობა გრძნობს თავის პასუხისმგებლობას კაცობრიობის მომავლისათვის, მშოფლიოს ბედისათვის, მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იბრძოლოს მშვიდობის საქმისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისათვის.

ბევრი ბურუუაზიული წიგნისა და გაზეთის უურცლებზე ხშირად ნახავთ ღრმაზრვად მსჯელობას „დაკარგულ თაობაზე“ — ასე მოათლეს თანამედროვე ახალგაზრდობა ცხოვრებას მოწყვეტილმა ან ბურუუაზიის მოსამსახურე ლიტერატორებმა. როცა უყურებ ფესტივალის მონაწილე ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, როცა ისმენ მათს დავას, უფიქრდები საკითხებს, რომლებზეც ისინი პასუხს ეძებდნენ, ხედავ, თუ რამდენად ყალბი და ცრუა ამგვარი დასკვნები. არა, დაკარგული თაობა როდი იზრდება დედამიწაზე! ახალგაზრდობის სულ უფრო ფართო ფენებს სწორად ესმით მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებები და მტკიცედ დგებიან იმათ რიგებში, ვისაც სურს მშვიდობა და მეგობრობა, ვისაც სძულს მტრობა და ომი. VI მსოფლიო ფესტივალი მოუწოდებს ყველა ქალიშვილსა და ჭაბუკს, სადაც უნდა ცხოვრობდნენ ისინი, კიდევ ერთხელ ჩაუფიქრდნენ თავიანთ მომავალს, თავიანთ როლს საზოგადოებაში, იგი გაადიდებს კაცობრობის ბედნიერებისათვის მებრძოლთა რიგებს, და ეს არის მისი მნიშვნელობა.

ფესტივალის წარმატებას, უეჭველია, ხელი შეუწყო იმან, რომ იგი საბჭოთა კავშირში მოეწყო. ჩვენი საშობლოს მთელი ცხოვრება, რომელიც გამსჭვალულია თავისუფლების, მშვიდობისა და მეგობრობის კეთილშობილური იდეებით, ჩვენში დამკვიდრებული სოციალისტური ურთიერთობა ხალხთა შორის, რომელიც გამორიცხავს მტრობასა და სიძულვილს, შეეხამებოდა ფესტივალის სულისკვეთებას. დაინგრა სიცრუისა და ცილისწამებას კედელი, რომელსაც მრავალ წელს აშენებდნენ საბჭოთა კავშირის გარშემო სოციალიზმის მტრები, მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის მტრები. ჩვენთან რომ ჩამოვიდნენ, სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდა ადამიანებმა დაინახეს მძლავრი, სწრაფად მზარდი სოციალისტური სახელმწიფო, საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს. მათ დაინახეს ერთსულოვანი, მჭიდროდ დაზამული ხალხი, ალერსიანი ადამიანები, რომლებიც მზად არიან ყველაფერი უჩვენონ, ყველაფერი განუმარტონ, ყველა კითხვაზე უპასუხონ.

უდიდესი ინტერესით დადიოდნენ მსოფლიოს ახალგაზრდობის წარმომადგენლები — ფესტივალის დელეგატები ჩვენს ქარხნებსა და კოლმეურნეობებში, ინსტიტუტებსა და საბავშვო ბაღებში, ისმენდნენ ჩვენს მუსიკას, უყურებდნენ ჩვენს ცეკვას. ისინი დარწმუნდნენ, თუ რა ხშირად ატყუებდნენ მათ, როცა საბჭოთა კავშირს მიაწერდნენ აგრესიულ ზრახვებს, როცა საბჭოთა ადამიანებს ხატავდნენ მოღუშულ, მტრულ, კარჩაკეტილ ადამიანებად. „განსაკუთრებით გვასიამოვნა რუს ხალხთან ურთიერთობამ, — წერს მექსიკელი ჟურნალისტი სერხიო მაგანია, — ეს არის უბრალო, გულითადი და გულღია ხალხი, და იმ მიღებით, რომელიც მან ჩვენ გაგვიწია, გამოიხატა მისი მორალური და ფიზიკური სიწმინდე“. „დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე უცნობი ადამიანების მისალმებამ, რომლებიც გვხვდებოდნენ ვაგზლებსა და ქუჩებში ყვავილებით ხელში, — ამბობს ინგლისელი სტუდენტი პენელოპა დევისი, — ამ შეხვედრებს ვერასოდეს ვერ დავივიწყებ. ჭულახდილი საუბარი პერისპირ — აი გზა, რომლითაც შეიძლება სიტყვები „მშვიდობა“ და „მეგობრობა“ რეალობად გადაიქცეს“.

მტრობის მთესველებმა ბევრი მელანი, შხამი და ღვარძლი დახარჯეს, როცა ცდილობდნენ VI მსოფლიო ფესტივალი წარმოედგინათ როგორც კომუნისტების მიერ მოგონილი ერთგვარი „პროპაგანდისტული ფანდი“. ცხოვრებამ კვლავ ხელაღდა დასცინა მათ, როგორც დაუცინია არაერთხელ. აი რას ამბობს ადვოკატი ხრისეს დემეტრიადისი — კვიროსის დელეგატი: „ყველასათვის, ვისაც ჯერ კიდევ სჯერა ჭორისა, თითქოს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალი კომუნისტური პროპაგანდის საქმეა, საკმარისი იყო დასწრებოდა იმ სტუდენტთა სემინარს, რომლებიც სამართალს სწავლობენ, და მოესმინა ყველა კონტინენტის წარმომადგენელთა გამოსვლები. ცხარე პოლემიკა, თვალსაზრისთა, ხშირად საწინააღმდეგო თვალსაზრისთა სიუხვე მკაფიოდ მოწმობს, რომ სემინარის მონაწილენი, რომლებიც დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდნენ, სულ სხვადასხვა შეხედულებებისა არიან. და ამასთან ერთად გულახდილობამ და ნდობამ, რაც სხდომებზე სუფევდა, თვალნათლივ დაარწმუნა დელეგატები, რომ მათი სემინარი, ისევე როგორც მთელი ფესტივალი, ემსახურება ჩვენს საერთო მიზანს — მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლას“.

დედამიწის ყველა მატერიკის ოცდათოთხმეტი ათასი ქალაქელი და ჭაბუკი, რომლებიც ფესტივალზე შეხვდნენ ერთმანეთს, საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ გულახდილობა და ნდობა საშუალებას აძლევს ადამიანებს გაუგონ ერთმანეთს, რომ ასეთი შეხვედრებით წარმომადგენლებს მშვიდობით დაუბრუნდნენ მშობლიურ კერებს, უსურვებენ მათ ახალ წარმატებებს კეთილშობილურ მისწრაფებაში მიიღწიონ მშვიდობასა და მეგობრობას დედამიწის ხალხთა შორის!

„პრავდის“ 12-VIII მოწინავე.

ქალაქ თბილისის 1500 წლისთავის საიუბილეო კომიტეტი

1958 წლის ოქტომბერში აღინიშნება თბილისის 1500 წლისთავი. შეიქმნა ამ თარიღის აღმნიშვნელი საიუბილეო კომიტეტი, რომელშიც შედიან: გ. ა. გეგეჭიძე (თავმჯდომარე), ი. ს. დოლიძე, მ. ი. კუჭავა, თ. ბ. ჯანელიძე, ა. ე. ბელაძე, ნ. ე. ჭახრაკია, ს. კ. ჩხარტიშვილი, დ. ა. ივაშენკო, ვ. დ. კუპრაძე, ნ. უ. ჯაში, მ. ა. კვესელავა, ა. ლ. გუნია, გ. ნ. ჯიბლაძე, თ. კ. ქუთათელაძე, გ. ს. ფირცხალავა, ი. ი. ჩხიკვიშვილი, ზ. ნ. პოღოსიანი, ვ. მ. სირაძე, ა. გ. ბუდუმიანი, ბ. ა. ლორთქიფანიძე, ნ. ი. მუსხელიშვილი, ი. ბ. აბაშიძე, ვ. ი. კაჭარავა, გ. ნ. ლეონიძე, ი. გ. გრიშაშვილი, ნ. ა. ბურძენიშვილი, ი. რ. ხვედელიანი, ვ. გ. ესაიაშვილი, ა. მ. ბალანჩივაძე, ნ. ე. ბადრიაშვილი, ა. ა. ხორავა, დ. ს. მჭედლიძე, უ. მ. ჯაფარიძე, ა. გ. ბარამიძე. ი. დ. ჭუმბურიძე, ე. ზ. თავაძე, ა. პ. ზაკომოლდინი.

(საქდესი).

ქარელის რაიონმა პურის დამზადების გეგმა შეასრულა

ქარელის რაიონმა 5 აგვისტოსათვის 101 პროცენტით შეასრულა პურის დამზადების გეგმა სიმინდის გარდა.

გრძელდება სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება მტს-ის მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურანაზღაურების ანგარიშში. (საქდესი).

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ლაიპციგი, 9 აგვისტო. (საკდესი.) დღეს ლაიპციგის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მშრომელთა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ქალაქში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრთა ყოფნას. წვიმის მიუხედავად, სტადიონზე ათეულ ათასობით ადამიანი შეიკრიბა. მინდვრის მწვანე კვადრატზე ჩამწკრივდნენ მუშათა რაზმების მებრძოლები, სპორტსმენები, თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის წევრები. სტადიონი სადღესასწაულოდ არის მორთული. მაღალ ფლაგმტოკებზე ფრიალებს სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები. ტრიბუნის თავზეა ლოზუნგი „გაუმარჯოს გერმანია—საბჭოთა კავშირის მეგობრობას. წინ ჩვენი საერთო სოციალისტური საქმისათვის!“.

18 საათი და 20 წუთია. სტადიონის ცენტრალურ კარში შემოდის ღია მსუბუქი ავტომანქანა. მასში სხედან ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი და ვ. ულბრიხტი. ისინი ფეხზე მდგომნი მიესალმებიან მიტინგის მონაწილეთ. პასუხად ქუხს ოვაცია. ტრიბუნებიდან გაისმის შეძახილები „მეგობრობა!“, „ფროინდშაფტ!“, „ვაშა!“

მანქანა ნელა მიდის სტადიონის ბილიკზე. იგი აკეთებს წრეს და ჩერდება ცენტრალურ ტრიბუნასთან, სადაც უკვე შეიკრიბნენ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები, ქალაქ ლაიპციგის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ხელისუფალთა წარმომადგენლები. ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი და ვ. ულბრიხტი ტრიბუნაზე ადიან. ოვაცია გრძელდება. მან ათ წუთს გასტანა.

მიტინგი გახსნა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ლაიპციგის საოლქო კომიტეტის წევრმა გ. რიუდიგერმა. იგი გულითადად მიესალმა ამხანაგებს ხრუშჩოვს, ულბრიხტს, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს.

გ. რიუდიგერი ლაპარაკობს დიდი საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურღვევ ძმურ მეგობრობასა და იმ უანგარო დახმარებაზე, რასაც სსრ კავშირი უწევს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ლაიპციგის ოლქის მშრომელთა სახელით იგი მადლობას იხდის ამ დახმარებისათვის და აცხადებს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები მუდამ დაუჭერენ მხარს საბჭოთა ხალხის ბრძოლას მშვიდობისათვის.

მიტინგის მონაწილენი მჭუხარე ტაშით გამოხატავენ სოლიდარობას გ. რიუდიგერის სიტყვებისადმი.

სიტყვა ეძლევა ამხანაგ ხრუშჩოვს. მიტინგის მონაწილენი მას ხვდებიან ხანგრძლივი ოვაციით, შეძახილებით „მეგობრობა!“, „ფროინდშაფტ!“

მიტინგის დახურვისას გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. ფრელიხმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა სტუმრებს ქალაქ ლაიპციგში ჩამოსვლისათვის და გახუცხადა საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს, რომ ლაიპციგის მშრომელებს თავიანთ მოვალეობად და ვალად მიაჩნიათ მთელი ძალებით შეუწყონ ხელი საბჭოთა კავშირის ბრძოლას მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

პ. ფრელიხმა სთხოვა დელეგაციის წევრებს მხურვალე სალამი გადასცენ საბჭოთა კავშირის ხალხებს.

მჭუხარე ტაშით, „ვაშას“ შეძახილებით შეხვდნენ ორატორის სიტყვებს, როცა მან გამარჯვება უსურვა გერმანია-საბჭოთა კავშირის ურღვევ მეგობრობას, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მარქსიზმ-ლენინიზმის დიად იდეებს.

მიტინგის მონაწილენი ფეხზე მდგომნი და ცენტრალური ტრიბუნისაკენ მიბრუნებულნი მღერიან სიმღერას: „მამაცურად, ამხანაგებო“.

მაგდებურგი, 10 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). განაგრძობენ რა მოგზაურობას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები ნ. ს. ხრუშჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ვ. ე. სემიჩასტნი და გ. მ. პუშკინი ე. ულბრიხტთან ერთად დღეს დილით ლაიპციგიდან გაემგზავრნენ ქალაქ მაგდებურგში.

გზა ჰალეს ოლქით მიდის. ავტომობილთა კორტეჟი მიემართება ფართო ავტოსტრადით. ყველგან სოფლების მოსახლეობა გამოდის გზაზე და მიესალმება საბჭოთა სტუმრებს. პირველი გაჩერება სამრეწველო ქალაქ დესაუშია. ქუჩები საზეიმოდ არის მორთული. ყველგან ბევრი ხალხია. მჭუხარე ტაშით ხვდებიან ამხანაგებს ხრუშჩოვს, ულბრიხტს, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყველა წევრს. იწყება მიტინგი.

საბჭოთა სტუმრებსა და ქალაქის მცხოვრებლებს მოკლე სიტყვით მიმართა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ჰალეს ოლქის ორგანიზაციის პირველმა მდივანმა ფ. ბრუკმა. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ორგანიზაციისა და ოლქის მოსახლეობის სახელით მან მხურვალე სალამი გადასცა საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს.

მიტინგზე გამოვიდა ნ. ს. ხრუშჩოვი. ნ. ს. ხრუშჩოვი ლაპარაკობს საბჭოთა ხალხსა და გერმანელ ხალხს შორის მეგობრობის უდიდეს მნიშვნელობაზე მშვიდობის განმტკიცების საქმისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

თუ იქნება მეგობრობა საბჭოთა ხალხსა და გერმანელ ხალხს შორის, ამბობს ამხანაგი ხრუშჩოვი, არ იქნება ომი. ამ სიტყვებმა შეკრებილთა აღტაცებული ოვაცია გამოიწვია. მიტინგის მონაწილენი რუსულად და გერმანულად შეწყობილად იმეორებენ „მეგობრობა!“, „ფროინდშაფტ!“.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები ემშვიდობებიან ქალაქ დესაუს მოსახლეობასა და განაგრძობენ გზას.

ნახევარი საათის შემდეგ ისინი ჩადიან ქალაქ ცერბსტში. აქ, ისევე როგორც დესაუში, საბჭოთა სტუმრებს მოელით გულითადი, გულთბილი, საბჭოთა ხალხისადმი სიყვარულით აღსავსე შეხვედრა.

ქალაქის ცენტრალურ მოედანზე შეკრებილი მოქალაქენი მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს. გაიმართა მოკლე მიტინგი, რომელზეც მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მაგდებურგის საოლქო ორგანიზაციის პირველმა მდივანმა ა. პისნიკმა.

გამოვიდა რა მიტინგზე, ნ. ს. ხრუშჩოვმა მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის. მან ქალაქ ცერბსტის მშრომელებს მოუწოდა კიდევ უფრო განამტკიცონ მეგობრობა გერმანელ ხალხსა და საბჭოთა ხალხს შორის, იმუშაონ კიდევ უფრო ნაყოფიერად, რომ ამრავლონ ის წარმატებანი, რომლებიც გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მოიპოვა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. ამხანაგმა ხრუშჩოვმა ცერბსტის მოქალაქეებს უსურვა წარმატებანი ცხოვრებასა და მუშაობაში.

მიტინგის შემდეგ დელეგაცია ტოვებს ცერბსტს.

გაიარა რა რამდენიმე ათეული კილომეტრი, ავტომობილთა კოლონა შევიდა ქალაქ მაგდებურგში — მძიმე მანქანათმშენებლობის მსხვილ ცენტრსა და დიდმნიშვნელოვან სამდინარო ნავსადგურში. მანქანები მიდიან ქალაქის ქუჩებში. ტროტუარებზე ათეული ათასობით ადამიანია. ისინი ყველანი მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა სტუმრებს. საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები მიემართებიან ერნსტ ტელმანის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში. რაც უფრო უახლოვდებიან ქარხანას, მით უფრო მეტია ხალხი. თვით ქარხნის წინ მათ შემოხვდა ადამიანთა დიდი ჯგუფი უამრავი დროშებით, ალმებით, ყვავილებით. ქარხნის კარებთან საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს და ვ. ულბრიხტს ქარხნის 12-ათასიანი კოლექტივის სახელით მიესალმა ქარხნის დირექტორი, ეროვნული პრემიის ლაურეატი ო. ფრიკე.

შემდეგ ქარხნის დირექტორმა მიიწვია საბჭოთა სტუმრები საწარმოს დათვალიერებლად.

ნ. ს. ხრუშჩოვი საბჭოთა დელეგაციის სხვა წევრებთან და ვ. ულბრიხტთან ერთად იწყებს დიდი სამჭედლო საამქროს დათვალიერებას. ისინი მიდიან მანქანებთან, გულითადად ესაუბრებიან მუშებს.

ქარხნის დათვალიერების შემდეგ საბჭოთა სტუმრები ეთხოვებიან ქარხნის მუშებს, ინჟინრებს, მოსამსახურეებს, მასობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ნ. ს. ხრუშჩოვი მიდის მიკროფონთან. იგი გულითად მადლობას უხდის მუშებს ძმური, გულთბილი მიღებისათვის.

ტელმანის სახელობის ქარხნიდან საბჭოთა სტუმრები გაემართნენ მაგდებურგის ცენტრალურ მოედანზე, სადაც გაიმართა მშრომელთა საერთო-საქალაქო მიტინგი, რომელიც ქალაქის ხელისუფლებმა, პარტიულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მოაწყეს საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად.

ქალაქის ცენტრალური მოედანი, სადაც დადგმულია ტრიბუნა, დიდებულ სანახაობას წარმოადგენს. აქ შეიკრიბა მაგდებურგის მრავალი ათეული ათასობით მშრომელი.

მიტინგს ხსნის გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის საოლქო ორგანიზაციის პირველი მდივანი ა. პისნიკი.

შემდეგ სიტყვას ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი.

მას მიტინგის მონაწილენი ხვდებიან მჭუხარე ოვაციით, შეძახილებით „მეგობრობა!“, „ფროინდშაფტ!“.

თავისი სიტყვის დასაწყისში ნ. ს. ხრუშჩოვმა მაღალი შეფასება მისცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საწარმოთა პროდუქციას, რომელიც დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს სსრ კავშირში. საბჭოთა კავშირი, — აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — თავის მხრივ მუდამ უწევს მეგობრულ დახმარებას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს.

„ჩვენ კვლავაც განვავითარებთ და განვამტკიცებთ მჭიდრო თანამშრომლობას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, — განაგრძობს ნ. ს. ხრუშჩოვი, — გავუწევთ მას დახმარებას. დარწმუნებული ვართ, რომ ასევე მოიქცევიან სხვა სოციალისტური ქვეყნებიც. ურთიერთ მხარდაჭერა, რომელსაც ჩვენ ვუწევთ ერთმანეთს, ჩვენი საერთო მხურვალე დაინტერესება იმით, რომ განუწყვეტელ აღმავლობას განიცდის თვითეული სოციალისტური ქვეყნის, მთელი სოციალისტური ბანაკის ეკონომიკა, — აი ეს არის სწორედ, ამხანაგებო, ნამდვილი პროლეტარული ინტერნაციონალიზმი“.

მოიყვანა რა 1918 და 1920 წლებში საბჭოთა რუსეთის მუშებთან მაგდებურგის მუშების რევოლუციური ძმური სოლიდარობის მაგალითები, ამხანაგმა ხრუშჩოვმა აღნიშნა: „მუშათა კლასის ერთიანობა და ძმური სოლიდარობა სოციალიზმისათვის ბრძოლაში დიადი ძალაა. მოდით, ამხანაგებო, შემდგომაც განვამტკიცოთ ეს ერთიანობა, რადგან იგი სოციალიზმისა და მშვიდობისათვის ბრძოლის ახლანდელ და მომავალ წარმატებათა საფუძველია“.

ანალიზი გაუკეთა რა გერმანიის მდგომარეობას ჰიტლერული ფაშიზმისაგან განთავისუფლების შემდეგ და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ომისშემდგომი წლების პოლიტიკას, ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა:

„ახლა, როცა შეიძლება ერომანეთს დაუუპირისპიროთ ორი გერმანული სახელმწიფოს განვითარების უკვე განსაზღვრული გზები, ყოველმა უწინაზრახვო ადამიანმა უნდა აღიაროს, რომ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პოლიტიკა იყო ერთადერთი შესაძლებელი პოლიტიკა შექმნილ პირობებში, ეს იყო სწორი პოლიტიკა“.

ამხანაგმა ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში დიდი ადგილი დაუთმო ახალგაზრდობის ამოცანებს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მოსკოვის VI მსოფლიო ფესტივალთან და ახალგაზრდობის „მაგდებურგის ფესტივალთან“ დაკავშირებით, რომელიც ახლა მიმდინარეობს მაგდებურგში.

თავისი სიტყვის დასასრულს ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა:

„უცხოეთის და დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტებისათვის გერმანელი ხალხის ბედი არაფერს არ წარმოადგენს. მათთვის გერმანია უცხო მიწაწყალია, ხოლო გერმანელი ხალხი—უცხო ხალხი. მათ სრულებითაც არ აფიქრებს ის, თუ რას მოუტანს გერმანელ ხალხს ახალი ომი. სამაგიეროდ გერმანელმა ხალხმა ძალიან კარგად იცის, თუ რა არის ომი და თუ რაოდენ კოლოსალურ მსხვერპლად ულირდა იგი მას. მშვიდობისათვის და ომის თავიდან აცილებისათვის ბრძოლა ჩვენი დროის ახალგაზრდობის ერთ-ერთი ყველაზე კეთილშობილური ამოცანაა.

ამხანაგებო! მშვიდობის ძალები ჯერ არასდროს არ ყოფილა ისე მრავალრიცხოვანი და დარაზმული, როგორც ახლა. ეს ძალავრი სოციალისტური სისტემის არსებობის პირდაპირი შედეგია. სოციალიზმი და მშვიდობა ერთმანეთთან განუყოფლად დაკავშირებული ცნებებია. მშრომელებს ყოველთვის უნდათ ქმნიდნენ და არა ანგრევდნენ. მით უმეტეს ამას მოითხოვს ექსპლოატაციისაგან თავისუფალი შრომა. და რაც უფრო მტკიცე იქნება სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ერთიანობა, მით უფრო ძნელი და საშიში იქნება იმპერიალისტებისათვის მშვიდობის დარღვევა“.

ამხანაგმა ხრუშჩოვმა თავისი სიტყვის დასასრულს გამარჯვება უსურვა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას, მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

ნ. ს. ხრუშჩოვს სიტყვას არაერთგზის აწყვეტინებდნენ მჭუხარე ტაშითა და შეძახილებით საბჭოთა ხალხსა და გერმანელ ხალხს შორის მეგობრობის პატივსაცემად.

შემდეგ შეკრებილთა წინაშე მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ულბრიხტმა, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

მიტინგის დასასრულს გამოვიდა გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მაგდებურგის ორგანიზაციის თავმჯდომარე კ. ბროსმანი.

დასასრულ მიტინგის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით იმღერეს მუშათა კლასის სიმღერა „მამაცურად, ამხანაგებო!“

ვარნემიუნდე, 10 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). მეორე დღეა სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრთა ჯგუფი ამხანაგ ა. ი. მიკოიანის მეთაურობით ეცნობა როსტოკის ოლქის მშრომელთა ცხოვრებას. ყველგან, სადაც კი საბჭოთა სტუმრები მიდიან, მათ გულთბილ, გულითად მიღებას უწყობენ. საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მოგზაურობის მთელ გზას არაჩვეულებრივად სადღესასწაულო შეხედულება აქვს: ყველგან ფრიალებენ წითელი დროშები, სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები, ტრანსპარანტები და ლოზუნგები, რომლებზეც წარწერილია ამაღელვებელი მისასალმებელი სიტყვები ძვირფასი და სასურველი სტუმრების ჩამოსვლის პატივსაცემად.

იმ დასახლებული პუნქტების მცხოვრებლები, რომლებზეც გაივლიან საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრთა ავტომანქანები, გამოდიან თავიანთი სახლებიდან და სიხარულით მიესალმებიან სტუმრებს, ყვავილად მხიარულად იღიმებიან, გაისმის მეგობრული ერთსულოვანი შეძახილები: „მეგობრობა!“, „მეგობრობა!“.

დღეს დღის პირველ ნახევარში სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები ა. ი. მიკოიანი, პ. ნ. კუმიკინი, ი. ვ. სპირიდონოვი, ზ. ვ. მირონოვა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ო. გროტეოლი, რომელიც მათთან ერთად მოგზაურობს, ეწვივნენ გერმანელ ავტომშენებელთა სიამაყეს — გემთსამშენებლო ვერფ „ვარნოვ-ვერფტს“.

ძვირფასი სტუმრების შესახვედრად ათასობით გემთმშენებელი გამოვიდა. ა. ი. მიკოიანსა და საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრებს მიესალმნენ გემსაშენის დირექტორი ჰერმარდ ციმერმანი, მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივის წარმომადგენლები.

ა. ი. მიკოიანი, ო. გროტეოლი, პ. ნ. კუმიკინი, ი. ვ. სპირიდონოვი, ზ. ვ. მირონოვა შედიან გემსაშენის სამმართველოს სხდომათა დარბაზში, სადაც დირექტორმა ჰ. ციმერმანმა სტუმრებს წარუდგინა შრომის საუკეთესო აქტივისტები და დაწვრილებით უამბო მათ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამ უდიდესი გემსაშენის შექმნისა და განვითარების ისტორია.

„ვარნოვ-ვერფტი“ გემებ

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

(დასასრული)

თესლის წარმოებაზე, რომელსაც დაკავებული აქვს მთელი ნათესი ფართობის 50 პროცენტზე მეტი, და ჯიშიანი პირუტყვის — ცხენის, ცხვრის, რქიანი პირუტყვის, ღორის მოშენებაზე. მამულში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი სიმინდის მოყვანას, რომელსაც 125 ჰექტარი უჭირავს. ამ მამულის შესახებ ლაპარაკობდა ყუბანის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე ამხანაგი ხრუშჩოვი. მან აღნიშნა, რომ მამულის მუშაობა სიმინდის მოყვანის საქმეში მისაბაძი მაგალითია. მამული ეჯიბრება საბჭოთა კავშირის საბჭოთა მეურნეობა „გიგანტს“.

მამულში სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ მუშები და მოსამსახურეები, მათი ცოლები და ბავშვები.

მამულის დირექტორმა ოტო შტრუბემ დიდი სიხარული გამოთქვა საბჭოთა სტუმრების ჩამოსვლის გამო. შტრუბემ თქვა, რომ იგი არ აპირებს გრძელი სიტყვის წარმოთქმას და რომ მუშაობის შედეგების ნახვა ყველაზე უკეთ შეიძლება პირდაპირ მინდორში.

ამხანაგმა ხრუშჩოვმა მადლობა გადაუხადა მას მისალმების კეთილი სიტყვებისათვის.

აქვე ნ. ს. ხრუშჩოვი და საბჭოთა დელეგაციის სხვა წევრები ვ. ულბრიხტთან, ო. შტრუბესთან და მამულის მუშაკებთან ერთად გაემგზავრნენ სიმინდის ყანაში. ამხანაგმა ხრუშჩოვმა დაათვალიერა სიმინდის ნათესები და მოიწონა მამულის კოლექტივის მუშაობის შედეგები.

— აი სიმინდი, — თქვა მან. — ეს ხომ მზა ძეხვია. ეს ხომ კარაქია.

ამხანაგმა ხრუშჩოვმა ურჩია ფართო პროპაგანდა გაუწიონ მამულის მუშაობის შედეგებს, მოაწყონ აქ სოფლის მეურნეობის მეცნიერთა და მუშათა სემინარები, მოაწყონ გლეხთა ექსკურსიები მამულში.

აქედან სტუმრები წავიდნენ მამულის ცენტრალურ ეზოში, სადაც მათ უჩვენეს ჯიშიანი ცხენები და ცხვრები. ამხანაგი ხრუშჩოვი მეგობრულად, გულითადად ესაუბრა მამულის მუშებსა და მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს.

სტუმრებთან მივიდნენ ბავშვები და ყვავილები მიართვეს მათ. ამხანაგმა ხრუშჩოვმა ალერსიანად აიყვანა ხელში სამი წლის ბიჭი ჰაინც ფიშბახი — მეჯინიბის შვილი. გაისმის ტაში, მხიარული სიცილი.

მამულის კოლექტივმა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას მიართვა საჩუქარი — ცხენი კვიციანად, ჯიშიანი ცხვრები და ჯიშიანი თესლით სავსე ტომრები — მამულის პროდუქცია. ნ. ს. ხრუშჩოვმა დელეგაციის სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა მამულის მუშაკებს ამ საჩუქრისათვის.

საბჭოთა სტუმრები მანქანებში ჩასხდნენ. მაგრამ წასვლა დაყოვნდა. ავტომობილს, რომელშიც ისხდნენ ამხანაგები ხრუშჩოვი და ულბრიხტი, გარს შემოეხვივნენ მამულის მუშები, ბავშვები. თვითეულს სურს კიდევ დაელაპარაკოს, კეთილი სიტყვა უთხრას სტუმრებს გამოთხოვებისას.

შუადღისას საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები ბერლინში გაემგზავრნენ.

როსტოკი, 11 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ დღის მეორე ნახევარში სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრთა ჯგუფი ა. ი. მიქოიანის მეთაურობით მონაწილეობას იღებდა მიტინგში, რომელიც როსტოკში მოაწყო დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის საოლქო კომიტეტმა.

ჯერ კიდევ მიტინგის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე როსტოკის ე. ტელმანის სახელობის მოედანი ქალაქის რატუშის წინ და ქუჩები, რომლებიც მოედანს ჰკრავს, ქალაქის მრავალი ათეული ათასი მშრომელით გაიჭედა. აქ არიან სახალხო საწარმოთა მუშები, დაწესებულებათა მოსამსახურეები, ახალმაბლო სოფლების გლეხები, ახალგაზრდობა.

ვარნემიუნდედან ჩამოსულ ამხანაგებს ა. ი. მიქოიანს, ო. გროტეევოლს, პ. ნ. კუმიკინს, ი. ვ. სპირიდონოვს, ზ. ვ. მირონოვას დამსწრენი აღფრთოვანებული ტაშით ხვდებიან. დიდხანს გაისმის მისალმების შეძახილები.

მიტინგს ხსნის დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის საოლქო კომიტეტის თავჯდომარე პროფესორი მელერი. იგი სიტყვას აძლევს ა. ი. მიქოიანს.

ა. ი. მიქოიანს სიტყვა არაერთხელ შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით. მიტინგის მონაწილეებმა მქუხარე ოვაცია გამართეს გერმანია-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობის პატივსაცემად.

მიტინგზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ო. გროტეოლმა, რომელსაც მშრომელნი გულთბილად შეხვდნენ.

სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა კარლ მევისმა.

მიტინგი წარმოადგენდა მკაფიო დემონსტრაციას გერმანიის მშრომელთა მზადყოფნისა იბრძოლონ მშვიდობისათვის, გერმანელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის განმტკიცებისათვის.

მიტინგის შემდეგ ამხანაგები ა. ი. მიქოიანი, ო. გროტეოლი, პ. ნ. კუმიკინი და ი. ვ. სპირიდონოვი ეწვივნენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურს ზიფერსჰაგენში (როსტოკის რაიონი). მტს-ის მუშაკებმა საბჭოთა სტუმრებს უამბეს, რომ სადგური შეიქმნა 1955 წელს და ახლა მომსახურებას უწევს 19 სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივს. მტს-ის აღჭურვილობა მანქანებით საშუალებას იძლევა 90 პროცენტით მექანიზებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივებში.

გაეცნენ რა მტს-ის მუშაობას და ესაუბრნენ რა მის მუშაკებს, საბჭოთა სტუმრები როსტოკში დაბრუნდნენ.

ამავე დროს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრი ზ. ვ. მირონოვა შეხვდა როსტოკის საოლქო საბჭოს წარმომადგენლებს. მეხვედრის დროს განიხილეს კომუნალური მშენებლობის საკითხები.

საღამოს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა კარლ მევისმა და საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ჰანს ვარნკემ როსტოკში დრბაზობა გამართეს სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრთა პატივსაცემად.

დრბაზობამ გულითად, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

გვიან საღამოს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები სპეციალური მატარებლით გაემგზავრნენ როსტოკიდან ბერლინს.

ბერლინი, 11 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრთა ჯგუფი ა. ი. მიქოიანის მეთაურობით დღეს დილით როსტოკიდან ბერლინში ჩამოვიდა. ვაგზლიდანვე საბჭოთა სტუმრები და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ო. გროტეოლი წავიდნენ ბერლინის ტელევიზიის ცენტრში ადლერსჰოფის რაიონში. სტუმრებს შეხვდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. ვანდელი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრი ი. ბეჰერი, ცნობილი გერმანელი მწერლები ვილი ბრედელი, ა. აბუში, სტეფან ჰაიმი და კულტურისა და ხელოვნების სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლები.

საბჭოთა სტუმრებმა დაათვალიერეს ტელევიზიის ცენტრი, დაესწრნენ დღევანდელ საღამოს პროგრამაში გადასაცემი სპექტაკლის ერთ-ერთი სცენის სარეპეტიციო გადაღებას, იყვნენ მთელ რიგ სტუდიებში, სადაც გაეცნენ რადიოტელევიზიის მოწყობილობას.

დათვალიერების დამთავრების შემდეგ ა. ი. მიქოიანმა სტუმრების წიგნში დატოვა შემდეგი ჩანაწერი: „ქალაქ ბერლინში უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ასეთი პირველხარისხოვანი სატელევიზიო ცენტრის შექმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა დიდი მონაპოვარია კულტურულ ფრონტზე.

გისურვებთ შემდგომ წარმატებებს სატელევიზიო აპარატურის, ტელევიზიის გადაცემათა მეთოდებისა და შინაარსის სრულყოფაში“.

შემდეგ ტელეცენტრის დარბაზში მოეწყო საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრთა შეხვედრა ბერლინის ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. შეხვედრას დაესწრნენ გერმანიის კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები. შეხვედრის დროს მოკლე სიტყვები წარმოთქვეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა ი. ბეჰერმა, ა. ი. მიქოიანმა, ო. გროტეევოლმა, გერმანელმა მწერალმა სტეფან ჰაიმმა.

ცნობები ადგილებიდან

ლაითურის ს. მ. კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირული ბრიგადის მოწინავე მუშამ მ. ცარუკიანმა ვალდებულება იკისრა მიმდინარე სეზონში მოკრეფოს 4,5 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. ჩაის კრეფის დაწყებიდან მიმდე პუნქტში უკვე ჩააბარა 2.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ის კომკავშირული ბრიგადა, რომლის წევრიც მ. ცარუკიანია, დაჯილდოებულია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე კომკავშირელები იბრძვიან ჩაის კრეფის გეგმის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ფოტო ა. აბულაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ჰექტარზე 23 ცენტნერი პური

მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის ენერგიულად მუშაობენ სტალინირის რაიონის სოფელ არცევის კოლმეურნეობის წევრები. აქ ქსუისის მტს-ის მექანიზატორებმა 16 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე გალეწეს 23 ცენტნერი პური. მოსავლის აღებაში თავი გამოიჩინეს კომბაინერმა გ. ვალიევმა, კოლმეურნეებმა ბ. ხუბულოვმა, გ. კოკოშვილმა, ვ. კაზიევმა და სხვებმა.

ახლა კოლმეურნეები ემზადებიან 117 ჰექტარზე გაშენებული ბეხილის ბაღებიდან მოსავლის აღებისათვის. აქაური კოლმეურნეები წელს ბილის დიდ მოსავალს მიიღებენ.

უ. გოლიევი,
არცევის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.

ხიზაბავრელი მეცხოველეები

წინათ სოფელ ხიზაბავრის (ასპინძის რაიონი) კოლმეურნეობაში მეცხოველეობა ჩამორჩენილი იყო. უკანასკნელ წლებში მდგომარეობა გამოსწორდა. მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 15 ივლისამდე თვითეულ საფურაუე ძროხაზე მიღებული იყო 909 კილოგრამი რძე. ნამატი მთლიანად არის შენარჩუნებული. მწყვალვებმა ს. ტატურაშვილმა, ს. შემაზაშვილმა, ლ. მექოშვილმა თვითეულმა ერთ ძროხაზე უკვე მიიღეს 1.110 კილოგრამი რძე. მათი ვალდებულებაა წლის ბოლომდე თვითეული ძროხის წველადობა აიყვანონ 1.500 კილოგრამამდე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.200 კილოგრამისა.

კ. ნიქაბაძე,
ასპინძის რაიონული გაზეთის „სოციალისტური სოფლის“ რედაქტორი.

ადიდებენ ღორის ხორცის წარმოებას

ღორის ხორცის წარმოების გადიდების საქმეში დაწინაურდა სოფელ სუჯუნის (აბაშის რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. აქ სუქებაზე ყავთ 100 ღორი, რომლებსაც კარგად უვლიან და კვებავენ. თვითეული ღორის წონაში დღიური მატება 800 გრამს აღწევს. საუკეთესოდ მუშაობენ მომვლელები ხ. ხოლომონია და ვ. ჯინორია.

ი. თოფურია.

ივრის ხეობის ბრიგადა

მამლებს დილის ყივილი არ დაუმთავრებიათ, ჯერ მზე არა ჩანს, მაგრამ სოფელში უკვე შრომის ფერხულია გაჩაღებული. ისმის მომკელთა ვაჟკაცური ყიჟინა, ტრაქტორების გუგუნი და მარცვალდამხარისხებელი მანქანის ერთფეროვანი შრიალი. სწორედ ასეთ დროს კალოზე გაისმის დედაქალაქელი დოქტორის ნაცნობი ხმა: — დილა მშვიდობისა, ამხანაგებო!

ამ სიტყვებზე მოხუცი კოლმეურნე, რომელსაც თავზე ნარმის ნაჭერი წაუკრავს, გულიანად იცინის და იქვე ხეზე მიმაგრებული რეპროდუქტორის მისამართით ამბობს:

— დაგაგვიანდა, ძმობილო, რაღა დილისაა, ერთ საათზე მეტია, რაც ფეხზე ვდგავართ...

შემოქმედებითი შრომის დაძაბული დღეები დგას ივრის ხეობაში. თიანეთის რაიონის თითქმის ყველა სოფელში მიმდინარეობს პურეულის აღება. ორი ათეული წელიწადი იქნება, რაც ასეთი მოსავალი არავის ახსოვს. გული ხარობს, ფერდობებზე შეფენილ ყანებს რომ უცქერი და კალოებზე დახვავებულ ოქროსფერ მარცვალში ხელს ურევ.

— ვინა თქვა, თიანეთელებმა პურის მოყვანა არ იციანო. აბა უყურეთ, რა მარცვალია, ნამდვილად, მოყვარეს რომ გაახარებს და მტერს თვალს დაუყენებს, — გვეუბნება საყდრიონელი ბრიგადიერი გიორგი უთურაული.

გიორგი სამართლიანად ამაყობს ყლვანდელი მოსავლით და ამის საფუძველი მართლაც აქვს. ორი დღის წინათ ბრიგადამ პურის აღება დაამთავრა „ვაკე მიწის“ 20 ჰექტარ ფართობზე და 48 ტონა მარცვალი გალეწა — ჰექტარზე 23 ცენტნერი, მაშინ როცა გეგმა ამის ნახევარზე ნაკლებს ითვალისწინებდა.

სულ კოლმეურნეობაში ასაღებია 665 ჰექტარი პურეული, აქედან მომკილია მხოლოდ მეხუთედი. მოსალოდნელია ხორბლის გადამწიფება, ამიტომაც დილიდან გვიან ღამემდე ამუშავებენ აგრეგატებს თიანეთის მტს-ის კომბაინერები ლეო წიწაკიშვილი, გრიგოლ ჯაგმაიძე და მისი სეხნია გრიგოლ ზარიძე.

— საქმე ის არის, რომ პური ერთდროულად შემოვიდა მთაშიც და ბარშიც. ახლა ძვირფასია ყოველი საათი, ყოველი წუთი. გულახდილად რომ ვთქვათ, ცოტა დახმარებაც გვჭირდება, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიხეილ ტუშური.

ძმა ძმისთვისო, რომ იტყვიან, სწორედ ისე მოხდა. ორი დღის წინათ ივრის ჭალებიდან მომავალი კომბაინი შეამჩნიეს საყდრიონელებმა. ჯერ იფიქრეს, ალბათ მეზობელ კოლმეურნეობაში თუ მიდისო, მაგრამ ნაცნობი კომბაინერი ოთარ ხარაშვილი რომ შეიცნეს, მაშინ კი მიხვდნენ, სარითიჭალელებს არც წელს დავიწყებიათ მეგობრები.

მცირეოდენი შესვენების შემდეგ ოთარმა თავისი აგრეგატი თავთავდამძიმებულ ყანაში შეაცურა და პირველსავე დღეს 12 ჰექტარზე აიღო მოსავალი.

მთელი სოფელი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, შრომაშია ჩაბმული. მარტო მკაზე ყოველდღიურად სამოცდაათზე მეტი კაცი და ქალი გამოდის, ადგილობრივი სკოლის ასამდე ბავშვი კრეფს თავთავს.

იყო დრო, როცა ბევრი კოლმეურნე მაინცდამაინც თავს არ იწუხებდა შრომით, განზე ედგა საარტელო მეურნეობას. ახლა საკმარისია ერთ დღეს სოფელში მოხვდე, რომ დარწმუნდე, თუ რა დიდი ცვლილებები მოხდა ამ უკანასკნელ ხანს ადამიანთა შეგნებაში.

მოსავლის აღებასთან ერთად საყურიონელები არც საკვების დაგროვების საქმეს ივიწყებენ. ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე 300 ტ[illegible] ... ტონა, 260 ტონა სიმინდი ჩადეს. [illegible] არის შემოვა სასილოსედ დათესი[illegible] სიმინდი, ჭარხალი, გოგრა და სხვა [illegible] ლტურები. უკვე მზად არის სასილ[illegible] ნაგებობები.

პარტიის თიანეთის რაიკომსა[illegible] რაისაბჭოს აღმასკომს დაწესებ[illegible] აქვთ გარდამავალი წითელი დრო[illegible] მემინდვრეობასა და მეცხოველეობ[illegible] ბილწეული წარმატებებისათვის. დროშები საყდრიონელებს აქვთ მი[illegible] ჭებული, მაგრამ არის „საშიშროება“ [illegible] რომ სპატიო ჯილდომ შესაძლებელ[illegible] სხვაგან გადაინაცვლოს. პრეტენდენტ[illegible] კი ბევრია.

აი თუნდაც ბალებისხევის კოლ[illegible] ურნეობა „წითელი ოქტომბერი“, [illegible] დაც თავმჯდომარედ არის უმაღლ[illegible] განათლების მქონე კომუნისტი ვენერ[illegible] სიხარულიძე.

სულ რამდენიმე თვეა, რაც არტ[illegible] ვენერა ჩაუდგა სათავეში, და ამ მცი[illegible] დროში კოლმეურნეობამ საგრძნ[illegible] ლად წაიწია წინ. ბალებისხეველ[illegible] რაიონში პირველი ადგილი უჭირ[illegible] ძროხის წველადობაში. მათ მნიშვ[illegible] რძის ... ლოვანი გადაჭარბებით შეასრულ[illegible] რძის წარმოების წლიური გეგმა და [illegible] ... ქამად წარმატებით იღებენ მოსავალ[illegible] ამზადებენ პირუტყვის საკვებს.

ამიტომ საყდრიონელებს მოუხდ[illegible] ბათ კიდევ უფრო დაძაბონ ენერგ[illegible] რათა სწრაფად და უდანაკარგოდ [illegible] ლონ მოსავალი, გადაჭარბებით შეა[illegible] რულონ საკვების დამზადების გეგ[illegible] გამოასწორონ ნაკლოვანებები. ნაკლ[illegible] ვანებები კი არის კოლმეურნეობაშ[illegible] არ ვიცით, ვისი ბრალია, მაგრამ ფა[illegible] ტია, რომ საყდრიონელებმა გააჭიან[illegible] რეს მექანიზებული კალოს მოწყობ[illegible] რომლისთვისაც საჭირო დანადგარ[illegible] ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ შეი[illegible] ნეს.

ბალებისხევიდან რომ ვბრუნდებ[illegible] დით, გზის მახლობლად უძრავ[illegible] მდგომი თვითმავალი კომბაინი დაკ[illegible] ხეთ, კომბაინერი ზურაბ ვახტანგ[illegible] დაღვრემილი იყო და ეტყობოდა თა[illegible] უხერხულად გრძნობდა.

— რატომ გაჩერებულხართ? — შ[illegible] ვეკითხეთ.

— რა ვქნა, ძმაო, გუშინ საღამ[illegible] ნაწილი გამიტყდა და მაშინვე მტს-ი[illegible] სახელოსნოში წავედი. შეიძლებ[illegible] მისი ღამითვე გაკეთება, მაგრამ სახ[illegible] ლოსნოში ელექტროდენი არ იყო...

ეს იყო დღის 4 საათზე. ამ ხნის გან[illegible] მავლობაში კომბაინი 10 ჰექტა[illegible] მაინც აიღებდა. აი რა შედეგი მოჰყვ[illegible] ბა ხოლმე მუშაობაში „წვრილმანები[illegible] გაუთვალისწინებლობას.

* * *

აგვისტოს მხურვალე მზე დასცქერ[illegible] მიდამოს, ნიავიც არ იძვრის, ცხელ[illegible] ძნელია ასეთ დროს მთელი დღე ყა[illegible] ში თუ კალოზე ყოფნა, მაგრამ უ[illegible] მოსავლით აღფრთოვანებულ ადამია[illegible] ნებს ეს როდი აფიქრებთ. შრომაა გ[illegible] ჩაღებული ერწოს მინდვრებსა და ა[illegible] ტნის ვიწროებში. სულ რაიონში 2[illegible] კომბაინი მუშაობს, ასაღებია 4 ათ[illegible] სამდე ჰექტარი პური. უბრალო გა[illegible] გარიშებითაც შეიძლება დავასკვნ[illegible] რომ კომბაინების ეს რაოდენობა სა[illegible] მარისი არ არის. რა თქმა უნდა, რა[illegible] ონის ხელმძღვანელმა ორგანებ[illegible] კოლმეურნეობებმა, მექანიზატორებ[illegible] და მთელმა აქტივმა ყველაფერი უნ[illegible] გააკეთონ მკის დასაჩქარებლად, ძვ[illegible] რამ ამასთან ერთად საჭიროა საქარ[illegible] ველოს სსრ სოფლის მეურნეობის მ[illegible] მინისტრო დაეხმაროს რაიონს კომბაი[illegible] ნებით.

ა. ოგგაიძე,
გაზეთ „ახალი თიანეთის“ რედაქტორი,
ა. თოდუაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

პარტიული ცხოვრება

უფრო ახლოს წარმოებასთან, ადამიანებთან

გასული წლის ოქტომბრიდან პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი ახლებურად შეუდგა მუშაობას, შეცვალა აპარატის სტრუქტურა, გააუქმა საორგანიზაციო, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებები, განყოფილებათა გამგეების ხარჯზე გაზარდა ინსტრუქტორთა რაოდენობა. თვითეულ ინსტრუქტორს თავისი მომსახურების ზონა გამოეყო. თუ ადრე ინსტრუქტორზე 40-50 პირველადი პარტიული ორგანიზაცია მოდიოდა, ამჟამად მდგომარეობა არსებითად შეიცვალა, თვითეულ მათგანს 10-12 პარტორგანიზაცია აქვს მიმაგრებული.

პარტიული ხელმძღვანელობის სტრუქტურის ასეთი გარდაქმნის შედეგად ინსტრუქტორები უფრო ხშირად არიან საწარმოებში და მეტი შესაძლებლობა აქვთ დაუახლოვდნენ კომუნისტებსა და უპარტიოებს, იმუშაონ მათთან, გააღვივონ მათი ინიციატივა, ქმედითად დაეხმარონ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს მათს ყოველდღიურ საქმიანობაში.

დარგობრივ განყოფილებათა არსებობისას პარტიის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორებს ინიციატივის გაჩენის ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდათ. საწარმოთა პარტორგანიზაციებში მისვლისას ისინი საკითხებს სწავლობდნენ დარგობრივად, განყოფილებათა პროფილის მიხედვით. ასეთი პრაქტიკა სასურველ შედეგებს ვერ იძლეოდა.

ჯერ კიდევ ნაადრევია ლაპარაკი პარტიული აპარატის სტრუქტურის შეცვლის დიდ წარმატებებზე, მაგრამ მუშაობის შედეგები, რაც მოკლე ხანში იქნა მოპოვებული, აშკარად მეტყველებს სტრუქტურის ახლებურად გარდაქმნის უპირატესობაზე. შესამჩნევად ამაღლდა ინსტრუქტორის როლი და პასუხისმგებლობა. ამჟამად ინსტრუქტორები საწარმოებში მიდიან არა როგორც შემმოწმებლები, არამედ როგორც ორგანიზატორები. ისინი გაბედულად ერევიან საწარმოს ცხოვრებაში და ქმედითს ზომებს იღებენ შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

„კავსანტექმონტაჟის“ სამმართველოში საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი წლების მანძილზე ერთხელაც არ დასწრებია პარტიულ კრებას, არ დახმარებია პარტორგანიზაციის მდივანს კრებების მომზადებასა და ჩატარებაში. ინსტრუქტორისათვის შეუმჩნეველი რჩებოდა ის, რომ აქ კომუნისტთა კრებებს იშვიათად იწვევდნენ, რომ ამ კრებებზე არ განიხილავდნენ საწარმოს მტკივნეულ საკითხებს, არ ახდენდნენ მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას, დაბალ დონეზე იდგა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა.

პარტიული აპარატის ახალი სტრუქტურის შემოღების შემდეგ მარტო ამ სამმართველოს პარტიულ კრებას საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი სამჯერ დაესწრო, პარტორგანიზაციის მდივანს ი. მაჭარაშვილს დაეხმარა პარტიული მუშაობის სწორად დაგეგმვაში, კრების მომზადება-ჩატარებაში. მიმდინარე წლის ექვს თვეში ამ პარტორგანიზაციაში პარტიის წევრობის კანდიდატად 5 კაცი მიიღეს, მათ შორის 4 წამყვანი პროფესიის მუშაა.

ცემენტის ქარხნის მუშათა კოლექტივი შარშან გაუმართავად მუშაობდა. ინსტრუქტორის რჩევით მიმდინარე წლის დამდეგს ქარხანაში მოიწვიეს ღია პარტიული კრება საკითხზე — გასული წლის შედეგები და ახალი სამეურნეო წლის ამოცანები. კრებაზე კომუნისტებმა — ცემენტის წარმოების გამოცდილმა სპეციალისტებმა სამშენებლო-სამონტაჟო დეტალების აღმოფხვრის, ცემენტის ხარისხის შემდგომი ამაღლების მიზნით მრავალი კონკრეტული წინადადება წამოაყენეს. დაისახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. პარტიული ორგანიზაცია სათავეში ჩაუდგა დასახულ ღონისძიებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის ბრძოლას. საწარმოში გაძლიერდა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ზედიზედ დაინერგა მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული წინადადებები. მოკლე ხანში ცემენტის ქარხანა მოწინავეთა რიგებში ჩადგა. მიმდინარე წლის შვიდ თვეში აქ გეგმის გადამეტებით 10.500 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ცემენტი გამოუშვეს.

პარტიული აპარატის სტრუქტურის შეცვლილი ფორმა საბოლოო როდია. ცხოვრების მოთხოვნილება გზადაგზა აყენებს მისი შემდგომი სრულყოფის საჭიროებას. მაგალითად, პირველად ინსტრუქტორები ზონების მიხედვით განაწილდნენ, მაგრამ შემდგომ უმჯობესად იქნა მიჩნეული ინსტრუქტორთა ორი ჯგუფის შექმნა. პირველ ჯგუფში გაერთიანდნენ ინსტრუქტორები, რომლებიც საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნის ინჟინერ შ. ანთელიძის მეთაურობით ხელმძღვანელობენ ქალაქის საწარმოებისა და სამშენებლო სამმართველოთა პარტიულ ორგანიზაციებს, მეორე ჯგუფი კი საქალაქო კომიტეტის მდივნის ნ. ნონიკაშვილის ხელმძღვანელობით აერთიანებს ქალაქის დანარჩენ საწარმოებს, სკოლებს, სამკურნალო დაწესებულებებს, სავაჭრო ობიექტებს და სხვ. ამგვარმა რეორგანიზაციამ ინსტრუქტორებს მათ წინაშე აღძრული საკითხების უფრო ოპერატიულად გადაჭრის საშუალება მისცა.

ისეთ მრავალდარგოვან სამრეწველო ქალაქში, როგორიც რუსთავია, პარტიულ ხელმძღვანელობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საწარმოთა და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების მოღვაწეობის სწორ კოორდინირებას. საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორთა მუშაობის პრაქტიკა მოწმობს, რომ ამ ამოცანას ისინი ძირითადად ცუდად როდი ართმევენ თავს.

მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროში ორ წელიწადს ჭიანურდებოდა მთელ რიგ პროგრესულ-ტექნოლოგიურ ღონისძიებათა განხორციელება. მარტო მეორე ბრძმედის მაღალ წნევაზე გადაყვანა თუჯის გამოშვებას 7 პროცენტით ადიდებდა. მაგრამ ამ ღონისძიების განხორციელების დადგენილი ვადა რამდენჯერმე ჩაიშალა. მიმდინარე წლის ივნისის ბოლოს ეს ბრძმედი გეგმიან რემონტზე გაჩერეს. გადაწყვეტეს რემონტის პარალელურად ბრძმედის მაღალ წნევაზე გადაყვანის სამუშაოები შვიდ დღეში შეესრულებინათ.

ინსტრუქტორთა ჯგუფი საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნის შ. ანთელიძის ხელმძღვანელობით სათავეში ჩაუდგა ამ საქმეს. ადგილზე ესაუბრნენ სპეციალისტებს. საბრძმედე საამქროს კომუნისტებმა წინადადება წამოაყენეს გათვალისწინებული სამუშაოები 7 დღის ნაცვლად 4 დღეში დაემთავრებინათ. ინსტრუქტორთა ჯგუფმა მხარი დაუჭირა მებრძმედეთა თაოსნობას. შეადგინეს რემონტის საათობრივი გრაფიკი. რემონტის მონაწილე ორგანიზაციებს შორის ზუსტად განაწილდა სამუშაო ფუნქციები. გადამწყვეტ ობიექტებს სათავეში ჩაუყენეს კომუნისტები. ყველა წამყვან უბანზე დაწესდა პარტიული კონტროლი. მშენებელ-მემონტაჟეთა შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. საქმის წარმატებაში დიდი როლი შეასრულა თვალსაჩინო აგიტაციამ. უბანზე ყოველდღიურად უშვებდნენ კედლის გაზეთს, ხოლო „ელვა“ ფურცლები მერემონტეთა შრომითი საქმეების შესახებ დღეში რამდენჯერმე გამოდიოდა.

მეტალურგების, მშენებლების და მემონტაჟეების შეთანხმებულმა მუშაობამ ნაყოფიერი შედეგი გამოიღო. გათვალისწინებული სამუშაოები მათ სამი დღით ადრე დაამთავრეს და ამით მებრძმედეებს 2,5 ათას ტონაზე მეტი თუჯის გამოშვების შესაძლებლობა მისცეს.

ქიმიკოსთა კლუბის მშენებლობის დაჩქარების შესახებ პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ბიუროს არაერთი დადგენილება დარჩა უშედეგოდ. ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ ამ ობიექტის აგებაში რამდენიმე სამშენებლო ორგანიზაცია მონაწილეობდა, შექმნილი უთავბოლობის გამო მშენებლებს რამდენჯერმე მოუხდათ კლუბის გადაკეთება. მიმდინარე წლის მაისიდან კლუბის მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობა დაეკისრა საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორს მშენებელ ინჟინერს მ. ინასარიძეს. მან დაწვრილებით შეისწავლა მშენებლობის ხელშემშლელი მიზეზები და ინსტრუქტორთა სამრეწველო ჯგუფის დახმარებით მოკლე ხანში გადალახულ იქნა სიძნელენი. სამშენებლო ობიექტზე გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია, საშენი მასალებით მომარაგება. ამჟამად კლუბის მშენებლობის ძირითადი სამუშაოები დამთავრებულია, მშენებლები პირობას იძლევიან, რომ კლუბს საოქტომბრო საჩუქრად გადასცემენ ქიმიკოსებს.

პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებს ინსტრუქტორთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. აქ წესად შემოიღეს წარმოებისა და მშენებლობის გამოცდილ სპეციალისტთა ლექციები ციკლის მოსმენა, რაც ინსტრუქტორებს ეხმარება ტექნოლოგიური პროცესების, საწარმოთა ეკონომიკის შესწავლაში. ამას გარდა საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ანდ. ს. გლაშვილი სისტემატიურად, კვირაში ერთხელ, კრებს ინსტრუქტორებს, ანდენს მათ შორის მოწინავე გამოცდილების განზოგადებას, აძლევს რჩევა-დარიგებას პარტიული მუშაობის შედგომი გაუმჯობესების შესახებ.

მაგრამ ინსტრუქტორთა კადრების მომზადებისა და მათი იდეურ-პოლიტიკური და ტექნიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორთა მნიშვნელოვანი ნაწილს არ ჰყოფნის ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება. ზოგიერთი ინსტრუქტორი ძველებურად, ძირითადად მეურნეობის ერთ რომელიმე მხარეზე ამახვილებს ყურადღებას. ინსტრუქტორთა ერთი ნაწილი ამა თუ [illegible] საკითხის გადაწყვეტისას ვერ იჩენ[illegible] საჭირო თაოსნობასა და ინიციატივას.

პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი, მისი მდივნები უფრო ქმედითად უნდა დაეხმარონ ინსტრუქტორებს პარტიული მუშაობის გამოცდილების და ჩვევების შეძენაში, იდეურ-პო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახვამდის, ახალ მეგობრულ შეხვედრამდე!

* * *

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის საზეიმო დახურვა

ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე თხუთმეტ დღეს ფრიალებდა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის ოთხი ალამი. მოსკოვი თხუთმეტ დღეს სტუმართმოყვარულად იღებდა ნრავალი ქვეყნის ქალიშვილებსა და ჭაბუკებს. ეს იყო დაუვიწყარი დღეები, მუსიკის, სიმღერის, მხიარულების, ბრწყინვალე დღესასწაულების, შეხვედრების, ცხარე კამათისა და მეგობრული გრძნობების უაღრესად გულწრფელი გამოხატვის დღეები.

დღესასწაულებსა და მიტინგებზე, შეხვედრებსა და დისკუსიებზე ახალგაზრდობამ განაცხადა, რომ ესწრაფვის მშვიდობასა და მეგობრობას. ეს იყო გრანდიოზული, შეუდარებელი მანიფესტაცია ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებისა, რომელნიც მოითხოვენ აიკრძალოს ატომური იარაღი, აცხადებენ, რომ მათ ესაჭიროებათ მშვიდობა და მხოლოდ მშვიდობა.

11 აგვისტო, კვირა დღე, ფესტივალის უკანასკნელი დღე იყო. ავტობუსები, რომლებშიც დელეგატები იყვნენ, კვლავ დაიძრნენ ცენტრალური სტადიონისაკენ. მოსკოველები ძველი მეგობრებივით მიესალმნენ უცხოელ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს. სიჭაბუკის დღესასწაულს, მსოფლიო ახალგაზრდობის დღესასწაულს მოსკოვი ისეთივე ზეიმით მიაცილებს, როგორითაც შეეგება.

... ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. დიდი სპორტული არენის ტრიბუნები ხალხით არის გაჭედილი. ვინც აქ ვერ მოვიდა, ტელევიზორებთან და რადიომიმღებებთან შეკრებილა. თითქოს მთელი მოსკოვი ესწრება მსოფლიო ფესტივალის ამ უკანასკნელ ზეიმს.

ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან შეკრებილნი ამხანაგებს ა. ბ. არისტოვს, მ. ა. სუსლოვს, ე. ა. ფურცევას, ი. ე. კალნბერზინს, ა. ნ. კოსიგინს.

სტადიონის მწვანე მოედანზე მარშის ხმებში გამოდიან ფესტივალის საერთაშორისო კომიტეტის წევრები. მოდიან მედროშეები და მოაქვთ იმ ქვეყნების ალმები, რომელთა წარმომადგენლებიც მონაწილეობენ ფესტივალში. მედროშეები შუა მოედანზე ეწყობიან.

ფესტივალის საერთაშორისო კომიტეტის წევრი ფესტივალის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარე ს. კ. რომანოვსკი მოკლე სიტყვით ხსნის ზეიმს. მან გამოთქვა რწმენა, რომ ამ დღესასწაულის სითბო კიდევ უფრო აღაფრთოვანებს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, რათა იმუშაონ ყველა ქვეყნის ახალგაზრდობასა და ხალხებს შორის მშვიდობისა და მეგობრობის განსამტკიცებლად, უკეთესი ცხოვრების მისაღწევად.

შემდეგ მსოფლიოს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს მიმართა ფესტივალის საერთაშორისო კომიტეტის წევრმა, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტმა ბრუნო ბერნინიმ. მან წაიკითხა მშვიდობისა და მეგობრობისათვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის საერთაშორისო კომიტეტის განცხადება.

— მთელი მსოფლიოს ძვირფასო მეგობრებო! — ნათქვამია განცხადებაში. — დასასრულს უახლოვდება მშვიდობისა და მეგობრობისათვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ჩვენი შესანიშნავი VI მსოფლიო ფესტივალი. გავიდა 15 მშვენიერი დღე, რომლებიც მთელ სიცოცხლეში დაამახსოვრდება ყოველ ჩვენგანს. ეს ღრმა აზრით აღსავსე დღეები იყო.

ჩვენ, 131 ქვეყნის მილიონობით ახალგაზრდობის წარმომადგენელი 34 ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი შევხვდით ერთმანეთს ფესტივალზე, რათა მეგობრულად განგვეხილა ცხოვრების ბევრი პრობლემა, რომლებიც აღელვებენ ახალგაზრდა ადამიანებს, სადაც უნდა ცხოვრობდნენ, რა პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებისაც უნდა იყვნენ, რა ეროვნებასაც უნდა ეკუთვნოდნენ ისინი.

ჩვენი ფესტივალის დევიზია მშვიდობა და მეგობრობა, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში. აი ამიტომ ეს დღესასწაული მარტო იმათი დღესასწაული როდია ვინც აქ შეკრებილა. ეს დედამიწის მთელი ახალგაზრდობის დღესასწაულია, ახალგაზრდობისა, რომლისთვისაც მხოლოდ ხალხთა მშვიდობა და მეგობრობა უზრუნველყოფს ბედნიერ ხვალინდელ დღეს.

ფესტივალის ყოველი დღე გვარწმუნებდა, თუ რა მტკიცე და ურღვევი შეიძლება იყოს მეგობრობა ყველა ქვეყნის ახალგაზრდა თაობისა, რომელიც იბრძვის მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში. ჩვენ უფრო ნათლად გავიგეთ, რომ ჩვენ, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ადამიანებს, გვაერთიანებს საერთო დიდი მისწრაფება ვიცხოვროთ და ვიშრომოთ მშვიდობიანაცის ქვეშ. ხიროსიმის ატომური დაბომბვის წლისთავზე ჩვენ გრანდიოზული

მოსკოვი. საერთაშორისო კინოფესტივალის დახურვა კინოთეატრ „უდარნიკში“. სურათზე: საქართველოს სსრ კინომოღვაწეები რეუსორი რ. ჩხეიძე, რომელმაც ოქროს მედალი მიიღო კინოსურათისათვის „ჩვენი ეზო“, და მსახიობი ლ. აბაშიძე, რომელიც ამ ფილმში წამყვან როლს ასრულებს.

ფოტო ვ. კუნოვისა და ვ. იანკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

* * *

შეხვედრა მოვაწყეთ. ამ შეხვედრის მონაწილეებმა მტკიცედ მოითხოვეს შეწყდეს ატომური და თერმოატომგულის იარაღის გამოცდა და აიკრძალოს იგი.

განცხადებაში შეჯამებულია VI მსოფლიო ფესტივალის შედეგები, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ფესტივალის წარმატება მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ახალგაზრდათა ორგანიზაციების ერთობლივი მუშაობის წარმატება იყო. განცხადებაში გამოთქმულია გულითადი მადლობა საბჭოთა ახალგაზრდობისადმი, მოსკოველებისადმი სტუმართმოყვარეობისათვის, ფესტივალის მონაწილეთა და სტუმართა გულთბილი, დაუვიწყარი მიღებისათვის.

განცხადების დასასრულს ნათქვამია: მშვიდობა და ბედნიერი მომავალი შეიძლება აშენდეს, თუ ხალხებმ და ახალგაზრდობა ყოველთვის მეგობრულად იცხოვრებენ, როგორც ეს ჩვენს ფესტივალზე იყო. ხალხებისა და ახალგაზრდობის მეგობრობა მშვიდობის საწინდარია. ყოველთვის და ყველგან განვამტკიცოთ ჩვენი მეგობრობა, რათა ერთობლივი ღონისძიებებით ავაშენოთ დედამიწაზე სიხარულისა და ბედნიერების მსოფლიო!

ფესტივალის საერთაშორისო კომიტეტის დავალებით ს. კ. რომანოვსკიმ მშვიდობისა და მეგობრობისათვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალი დახურულად გამოაცხადა. დამსწრეებმა თვალი სამხრეთი ტრიბუნის მწვერვალს მიაპყრეს. იქ ანძაზეა მოსკოვის სიჭაბუკის დღესასწაულის დროშა. აი იგი ნელა ეშვება. გრიალებს ფეიერვერკის ზალპი. ზეიმურად ეღერს დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნის მელოდია. მღერიან ევროპისა და აზიის, ამერიკის, აფრიკისა და ავსტრალიის ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

ჩააქრეს სინათლე. ერთმანეთის მოპირდაპირე ორი კარიდან გამოდის შუქი და სტადიონს ეფინება, თითქოს გამდნარი ოქროაო. ქალიშვილები შემორბიან მოედანზე. ხელში ანთებული გულრზები უჭირავთ. იწყება ტანმოვარჯიშე ქალების გამოსვლები. სიბნელეში ზღაპრული ფოსფორული ცეცხლით აენთო მთელი აღმოსავლეთის ტრიბუნა. ათასობით ნაირფერადი ალმით გამოისახა დიდი ასოებისაგან შემდგარი სიტყვა „მშვიდობა“. ეს სიტყვა გაჩხდა რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, ჩინურ, ესპანურ და გერმანულ ენებზე. შემდეგ ტრიბუნაზე გამოჩნდა დიდი მტრედის სილუეტი, მტრედს უკან სიტყვები, რომლებიც აღბეჭდილია ფესტივალის ემბლემაზე: „მშვიდობისა და მეგობრობისათვის!“

აი მაყურებელთა წინ გადაიშალა ვეებერთელა მოძრავი ფერადი ხალიჩა — აღმოსავლეთის ტრიბუნაზე მსხდომმა ფიზკულტურელებმა ყველა ფერის ალმები აღმართეს. მაღლა ცას ასწვდა ათასი კაცის ხმა. ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა — დედამიწის ხალხთა წარმომადგენლებმა ხელი ხელს ჩასჭიდეს და გამოთხოვებისას კიდევ და კიდევ ფიცივით იმეორებენ ყველასთვის ძვირფას და გასაგებ ორ სიტყვას: „მშვიდობა“, „მეგობრობა“.

როცა დღესასწაული დამთავრდა, ახალგაზრდებით გაივსო სტადიონის სკვერები და ხეივნები, მდინარე მოსკოვის სანაპიროები, დაიწყო ფესტივალის უკანასკნელი ბალი. ალერსიანი ღიმილი, მხიარული სიცილი... და მაგარი, მაგარი ხელის ჩამორთმევა. გამოთხოვებისას ახალგაზრდობა ამბობდა: ნახვამდის, ახალ მეგობრულ შეხვედრამდე! (საკდესი).

მოსკოვის ცის ქვეშ

აი დადგა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის დახურვის დღე. რა სწრაფად, რა შეუმჩნევლად გავიდა ორი კვირა — მსოფლიოს ახალგაზრდობის გრანდიოზული დღესასწაულის ორი კვირა.

ამ ორი კვირის განმავლობაში მოსკოვში გრძელდებოდა მოზარდი თაობის წარმომადგენელთა შეკრება. მსოფლიოს 131 ქვეყნის 34 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი შეხვდა მოსკოვში ერთმანეთს. მათ ჰქონდათ ერთი მიზანი — უკეთ გაეგოთ ერთმანეთისათვის, განემტკიცებინათ მეგობრობა, გაეფართოებინათ თანამშრომლობა. ამ დღეების განმავლობაში ასობით შეხვედრა, კონცერტი, მეგობრული შეჯიბრება, დისკუსია გაიმართა და ყველგან, ყველაფერში იგრძნობოდა ახალგაზრდობის მისწრაფება იმუშაონ ერთად მშვიდობისა და ახალგაზრდა თაობის ბედნიერებისათვის.

ამ დღეების განმავლობაში მოსკოვისა და მოსკოველების ცხოვრება დიდი აღფრთოვანებითა და მღელვარებით იყო აღსავსე. ყოველი მოსკოველი ოცნებობდა იმაზე, რომ ეს დიდი დღესასწაული მოსკოვში ჩატარებულიყო რაც შეიძლება მოხდენილად, რომ მას კარგი ხსოვნა დაეტოვებინა მნახველებში. მოსკოველებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სტუმრებს გაუღეს თავიანთი სახლის კარები, ცდილობდნენ, რომ მათ რაც შეიძლება კარგად ეგრძნოთ თავი მოსკოვის ცის ქვეშ.

და აი ფესტივალიც დამთავრდა. ამ ორი კვირის განმავლობაში რამდენი იყო შთაბეჭდილება, რამდენი განცდა და რამდენი აზრი! ასე გგონიათ, თითქოს გუშინ იყო ფესტივალის გახსნის დღე, როდესაც მოსკოვის ქუჩებში ფართო და მძლავრ ნაკადად მოედინებოდნენ მთელი მსოფლიოს წარმომადგენლები — მხიარული, ხალისიანი ახალგაზრდობა.

სულ ხომ რამდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც მანეჟის მოედანზე შედგა მსოფლიოს ახალგაზრდობის მანიფესტაცია, რომელიც აქ შეიკრიბა იმისათვის, რომ მთელი ხმით განეცხადებინა: „არა, არ იქნება ატომური ომი“. და აქ იმათ რიცხვში, ვინც ყველას გასაგონად თქვა ეს ძლიერი „არა!“, — იყო მშვიდობისმოყვარე საბჭოთა ახალგაზრდობა, მათ შორის ქართველი ახალგაზრდობაც.

მოსკოველებს, ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს დიდხანს ემახსოვრებათ ბალები და მიღება კრემლში. მოსკოვის ახალგაზრდობა ორი საღამოს განმავლობაში კრემლში იღებდა სიჭაბუკის დღესასწაულის დელეგატებს. ისევე როგორც კრემლში გამართული ბალების სხვა მონაწილენი, ქართველი ახალგაზრდობის წარმომადგენლებიც ბევრ რამეს მოუყვებიან თავიანთ ახლო მეგობრებს იმ წარუშლელ შთაბეჭდილებაზე, რაც მათზე დატოვა დიდი ტაძრების ნახვამ, კრემლის დიდი სასახლის, საუურვლის პალატის, მეფე-ზარბაზნის, მეფე-ზარის დათვალიერებამ. დიდი პატივი ხვდა წილად „რეროს“ ორკესტრს. იგი კრემლში გამოვიდა ბალზე, სადაც გააცნო თავისი ოსტატობა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარმომადგენელს.

ყველას დამახსოვრდება საბჭოთა ბალეტის წარმოდგენა „დინამოს“ სტადიონზე. საბჭოთა ბალეტის საღამო მოამზადეს ლენინგრადის თეატრების, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის, ლენინგრადის, ქორეოგრაფიული სასწავლებლის ძალებმა. ბალეტის ოსტატებმა, მთავარმა ბალეტმეისტერმა ბ. ფენსტერმა, ორკესტრის დირიჟორმა პ. ფელდტმა, სპექტაკლ-კონცერტის სამხატვრო ხელმძღვანელმა ი. ტუმანოვმა განახორციელეს ეს არა-ჩვეულებრივი წარმოდგენა ახალ და რთულ პირობებში. ცენტრალურმა პრესამ მოიწონა ბალეტ „გაიანედან“ (კომპოზიტორი ა. ხაჩატურიანი) ფრაგმენტების შესრულება და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჭეშმარიტად გრანდიოზული იყო ცეცხლოვანი მასობრივი ცეკვა. ამ ცეკვაში ისეთ პროფესიონალ არტისტებთან ერთად, როგორიც არიან მთავარი პარტიის შემსრულებელი ახალგაზრდა ბალერინა ნ. კურგაპკინა, მსახიობები ბ. ბრეგვაძე, ტ. ლეგატი, ი. უმრიხინი, ცეკვავდა ახალგაზრდობა ქორეოგრაფიული თვითმოქმედი კოლექტივებიდან. ქართული ბალეტის ოსტატების შესახებ ტატიანა ტესი „იზვესტიაში“ წერდა: თავიანთი მომჯადოებელი ოსტატობა გვიჩვენეს ვ. წიგნაძემ და ვ. ჭაბუკიანმა.

მიემგზავრებიან რა მოსკოვიდან, ფესტივალის მონაწილეები და სტუმრები თან წაიღებენ წარუშლელ შთაბეჭდილებას, რაც მათზე დატოვა სოფლის ახალგაზრდობისა და შრომის დღესასწაულმა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, წყალჯომარდობის დღესასწაულმა მდინარე მოსკოვზე, სტუდენტთა კარნავალმა, საცირკო კავალკადამ, კონცერტებმა, დაუსრულებელმა გულითადმა და მეგობრულმა შეხვედრებმა, დისკუსიებმა, საუბრებმა. და არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მოიგონებენ საფესტივალო ქორწილს, რომელიც ხალხში საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი ძველი ტრადიციების მიხედვით მოეწყო საქართველოს სსრ პავილიონში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ძნელია საგაზეთო წერილში აიწეროს იმ მრავალმხრივი მეგობრობის გამოვლინება, რაც ჩვენ ვნახეთ კერძოდ ჟურნალისტთა წრეში. დედამიწის ხუთი კონტინენტის ახალგაზრდა და ძველმა ჟურნალისტებმა ფესტივალზე მონახეს საერთო ენა და მათ შორის დამყარდა ნამდვილი მკვიდრი მეგობრობა.

ბევრი საინტერესო და დაუვიწყარი რამ ხდებოდა ამ დღეებში მსოფლიო ფესტივალზე და ბევრ მათგანში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი ახალგაზრდობის წარმომადგენლები. აი, მაგალითად, ასეთი ფაქტი. ფესტივალის ბევრმა მონაწილემ გამოთქვა სურვილი შეხვედროდა საბჭოთა მწერლებს. და ასეთი შეხვედრა შედგა. მეცნიერთა სახლის დარბაზში ფესტივალის მონაწილეებს შეხვდნენ მწერლები კ. ჩუკოვსკი, ს. მიხალკოვი, მ. ბაჟანი, რ. გამზატოვი, მ. ტანკი, მ. აუეზოვი, ი. ნონეშვილი, ე. დოლმატოვსკი, ვ. ტუშნოვა. სხვა მწერლებთან ერთად, რომლებიც ხვდებოდნენ ფესტივალის მონაწილეებს, ი. ნონეშვილს ნახავდით მდინარე მოსკოვზე და მოსკოვის სახელობის არხზე სეირნობისას, ლიტერატორთა სახლშიც, როგორც პასუხისმგებელ მორიგეს, რომელიც სტუმრებს იღებდა.

თითქმის ყველგან ნახავდით კინოოპერატორებს. მოსკოვის ეკრანებზე უკვე გამოვიდა კინოქრონიკის პირველი სპეციალური გამოშვებანი.

კომპოზიტორთა საერთაშორისო კონკურსის შედეგების შეჯამებისას ჟიურიმ ოქროს მედლით დაჯილდოვა ვ. მურადელის სიმღერა. ვერცხლის მედლებით დაჯილდოებულ იქნენ ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორები ო. თაქთაქიშვილი და ს. ცინცაძე.

ფესტივალის უკანასკნელი დღეები აღინიშნა მნიშვნელოვანი სასიხარულო ამბებით. ოქროს მედლებით დაჯილდოებულ იქნენ კინოფილმ „ჩვენი ეზოს“ ახალგაზრდა რეჟისორი-დამდგმელი რ. ჩხეიძე, ვოკალური ჯგუფი „შვიდკაცა“, ვერცხლის მედლებით — საქართველოს სსრ ლენინური კომკავშირის სახელობის ცეკვის ანსამბლის მოცეკვავეთა ჯგუფი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები ზ. ანჯაფარიძე და ნ. ანდღულაძე, პიანისტი მარინა მდივანი. ბრინჯაოს მედლით დაჯილდოებულია საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრი და სხვ. ფესტივალზე ოქროს მედალი დაიმსახურა სპორტსმენმა წერეთელმა.

დადგა გამოთხოვების დღე. ფესტივალის უკანასკნელი დღე დაგვირგვინდა ფესტივალის საზეიმო დახურვით. მოსკოვი ესოდენ მახლობელი გახდა ბევრისთვის! ბევრი ფიქრი აღელვებს როგორც მოსკოველების, ისე სტუმრების გულს. როგორც მოსკოველები, ისე სტუმრები დიდხანს არ დაივიწყებენ გულთბილ მეგობრულ შეხვედრებს.

ჩვენს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, მთელ ჩვენს ხალხს სურთ, რომ არასოდეს არ ჩაქრეს მეგობრობის მაცოცხლებელი ცეცხლი, რომელიც დაინთო მოსკოვის VI ფესტივალის დღეებში.

ვ. გაგელია,
ს. რიჟინაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

სურათებზე: მარცხნივ — უცხოეთის დელეგაციების წევრებმა — ფესტივალის მონაწილეებმა გვირგვინებით შეამკეს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი. ეგვიპტის დელეგაციის წევრებს გვირგვინები მიაქვთ მავზოლეუმისაკენ. ზემოთ — შეჯიბრება ძალოსნობაში. მძიმე წონის სპორტსმენთა შეჯიბრებებში პირველი ადგილი და ოქროს მედალი მოიპოვა ევგენი ნოვიკოვმა (სსრ კავშირი). მეორე ადგილი დაიკავა ეინო მიაკინენმა (ფინეთი). მან მიიღო ვერცხლის მედალი. მესამე ადგილი დაიკავა კენ მაკდონალდმა (ავსტრალია). მას გადაეცა ბრინჯაოს მედალი. მეოთხე ადგილზეა—სილვიუ კაზანი (რუმინეთი), მეხუთეზე — ვაცლავ სიროვი (ჩეხოსლოვაკია), მეექვსეზე — რაიმონდ ერბო (საფრანგეთი). ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ბრუნო ნიუბერგი ჯილდოს გადასცემს ევგენი ნოვიკოვს.

ფოტო ვ. სობოლევისა და ნ. კულეშოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ფოგოგამოფენის მონაწილეთა დაჯილდოება მედლებით

11 აგვისტოს დაიხურა ფოტოგამოფენა, რომელიც მოწყობილი იყო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის დღეებში.

გამოფენის ჟიურიმ მონაწილეებს მიანიჭა 6 ოქროს, 17 ვერცხლისა და 25 ბრინჯაოს მედალი.

უმაღლესი ჯილდო — ოქროს მედალი მიენიჭა როჟე კატერინოს (საფრანგეთი) ფოტოსათვის „შტო და გოგონა“, მილლინა კნეტევიჩს (იუგოსლავია) — „გართობის სამეფოში“, დოლფ კრიუგერს (ჰოლანდია) — „წყალდიდობის შემდეგ“, ჯუზეპე მედერს (იტალია)— „ნათლისღება ობრუცოში“, იგორ პეტკოვს (სსრ კავშირი) — „მეგობარი ქალები“, ჩან ლოის (ვიეტნამი) — „ბრინჯის ახალი მოსავალი“. (საკდესი).

სპორტსმენებმა ალამი დაუშვეს

მოსკოვი. (საკ. კორ.). დამთავრდა ახალგაზრდობის მესამე საერთაშორისო მეგობრული სპორტული ასპარეზობა. ეს იყო მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ახალგაზრდა სპორტსმენთა მეგობრული, ამასთანავე შეუპოვარი და მიმზიდველი ასპარეზობა.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში ტრადიციულ ოლიმპიურ ასპარეზობებს, მესამე საერთაშორისო მეგობრული ასპარეზობა უდიდესი სპორტული ღონისძიება იყო. მან ხელი შეუწყო დედამიწის ყველა კუთხის წარმომადგენელთა, სპორტსმენთა უფრო ახლოს გაცნობას, დაახლოებას, ურთიერთგაგებას, მეგობრობას.

10 აგვისტოსათვის გარდა ფეხბურთისა ყველა შეჯიბრება დამთავრებული იყო. მსაჯის სასტვენის ხმამ სსრ კავშირისა და უნგრეთის ფეხბურთელთა კოლექტივების ფინალური ასპარეზობის დაწყება გვამცნო. ეს მეტად საინტერესო მატჩი დამთავრდა სსრ კავშირის გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 5:1.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა კოლექტივი მესამე საერთაშორისო ასპარეზობის ჩემპიონი გახდა და ოქროს მედალი მოიპოვა. მეორე ადგილზე გამოვიდა უნგრეთის გუნდი, მესამეზე — ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა კოლექტივი. გამარჯვებულებს საზეიმოდ გადაეცათ ჯილდოები.

გაზეთ „ტრუდის“ მიერ დაწესებული იყო სპეციალური ჯილდო ასპარეზობის საუკეთესო ფეხბურთელისათვის. ჟიურიმ ეს ჯილდო მიანიჭა სპორტის დამსახურებულ ოსტატს სტრელცოვს.

იწყება ტანმოვარჯიშეთა საჩვენებელი გამოსვლები. მოედანზე რიგრიგობით გამოდიან მესამე საერთაშორისო მეგობრული ასპარეზობის ჩემპიონები, პრიზიორები. საერთო მოწონება დაიმსახურა ასპარეზობის აბსოლუტურმა ჩემპიონმა ლატინინამ, აგრეთვე ტეოდორესკუმ, ლეპელმა, ტიტოვმა და სხვ.

როგორია ნახევარი თვის ბრძოლის შედეგები?

ყოველდღიურ შეხვედრათა შედეგებმა ცხადყო სპორტის 23 სახეობის შეჯიბრებაში მონაწილე 46 ქვეყნის 4.000-მდე სპორტსმენის შესანიშნავი მომზადება. დამყარებულია არა მარტო ეროვნული და საერთაშორისო მეგობრული ასპარეზობის რეკორდები, არამედ ზოგიერთი მაჩვენებლები მსოფლიო რეკორდებს აღემატება. ოქროს მედლები მოიპოვეს სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ავსტრალიის, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიის, იაპონიის, იუგოსლავიის, ინდოეთის, იტალიის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა. ვერცხლის მედლები მოიპოვა 19 ქვეყნის 130 სპორტსმენმა. ბრონზა გადაეცა ბრინჯაოს მედლები, დიპლომები.

სამი მსოფლიო რეკორდი, ერთი ევროპის რეკორდი და მესამე საერთაშორისო მეგობრული ასპარეზობის 35 რეკორდი — ასეთია ამ დიდი ასპარეზობის შედეგები.

სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად ამ შეჯიბრებაში მაღალი ოსტატობით გამოირჩეოდნენ საბჭოთა სპორტსმენები. ისინი გამოვიდნენ 20 სახეობაში და მოიპოვეს 75 ოქროს, 44 ვერცხლის და 37 ბრინჯაოს მედალი. მათ შორის აღსანიშნავია მინაევის, ბუშუევის, პიპინეს და სხვათა წარმატებები.

საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა ამ საერთო მიღწევებში თავისი წვლილი შეიტანეს საქართველოს წარმომადგენლებმა. კლასიკურ ჭიდაობაში აბაშიძე და ქორიძე ასპარეზობის ჩემპიონები გახდნენ. მცურავმა ნიკიტინმა 1.500 მეტრზე ცურვაში ოთხი რეკორდი დამყარა. საპრიზო ადგილები მოიპოვეს მშეღლიშვილმა, არსენიანმა და სხვ.

გაისმის საზეიმო მარშის ხმა. ჩრდილოეთ ტრიბუნიდან სარბენ ბილიკებზე გამოჩნდა შეჯიბრებაში მონაწილე ქვეყნების დროშები, მათ ხელიხელგადახვეული მოჰყვებიან სპორტსმენთა კოლონები. სტადიონის იარუსებს მოსწყდა ერთსულოვანი ტაში. ეწყობა წმინდა მეგობრობის გამომხატველი მეტად მგრძნობიარე, გულთბილი შეხვედრები. იმართება მოკლე მიტინგი. სპორტსმენებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ კ. ანდრიანოვმა. მესამე საერთაშორისო მეგობრული ასპარეზობა დახურულად ცხადდება. სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის ხმებზე ასპარეზობის თეთრი ალმი ნელნელა ეშვება.

— ნახვამდის, მეგობრებო! — ამ სიტყვებით ტოვებენ სპორტსმენები მოედანს.

სურათზე: სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს პავილიონში. მარცხნიდან მარჯვნივ: ფესტივალის მონაწილენი. მ. კოსაროვა (უზბეკეთის სსრ), ლ. გერლახი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ხრისტა ხეროლდი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), კ. ლანდგრაფი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), იოზეფ ბენცე (ჩეხოსლოვაკია), მილან გაშპარი (ჩეხოსლოვაკია) და ტ. პრეულიშვილი (საქართველოს სსრ). ფოტო ი. კოშელკოვისა და ვ. ტურბინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა მთავრობის საჩუქარი

ბუქარესტი, 10 აგვისტო. (საკდესი). გაითვალისწინა რა საბჭოთა კავშირის ხალხსა და რუმინელ ხალხს შორის ძმური მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისა და კულტურული ურთიერთობის გაფართოების ინტერესები, სსრ კავშირის მთავრობამ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას გადასცა რუსეთის ფედერაციის სახალხო ოსტატების გამოყენებითი და დეკორატიული ხელოვნების გამოფენის ექსპონატების ნაწილი. გამოფენა უჩვენეს ბუქარესტში, ტირგუ-მურეშში, კლუჟში და რუმინეთის სხვა ქალაქებში.

დღეს რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სახლში გაიმართა ამ საჩუქრის გადაცემის საზეიმო ცერემონია, რომელსაც დაესწრნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. მოგიოროში და შ. ვოიტეკი, საგარეო საქმეთა მინისტრი ი. გ. მაურელი, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, განათლებისა და კულტურის სამინისტროს, არლუსის, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის ინსტიტუტის თანამშრომლები, რუმინული ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, აგრეთვე ბუქარესტში აკრედიტებული მთელ რიგ საელჩოთა მეთაურები და თანამშრომლები, რუმინელი და უცხოელი ჟურნალისტები.

გადასცა რა საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით გამოფენის ექსპონატები საჩუქრად რუმინეთის მთავრობას, სსრ კავშირის ელჩმა ბუქარესტში ა. ა. ეპიშევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობის ეს საჩუქარი საბჭოთა ხალხის მეგობრობის ღრმა და გულწრფელი გრძნობების გამოვლინებაა რუმინელი ხალხისადმი, რომელიც წარმატებით ახორციელებს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას თავის ქვეყანაში. საბჭოთა მთავრობის ეს აქტი, განაცხადა მან, სავსებით შეესაბამება ჩვენი ქვეყნების მთავრობათა სურვილებს კვლავაც განამტკიცონ და განავითარონ საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ურთიერთობა კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში.

შემდეგ გამოვიდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე ი. პასი. მან დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის მთავრობას საჩუქრისათვის და გადასცა სსრ კავშირის ელჩს რუმინეთში ა. ა. ეპიშევს რუმინეთის მთავრობის მადლობის წერილი.

სსრ კავშირის მთავრობის საჩუქარი, ნათქვამია ამ წერილში, იმ ძმური მეგობრული ურთიერთობის ახალი გამოვლინებაა, რომელიც დამყარდა ჩვენს ხალხებსა და ქვეყნებს შორის.

ღაოსის ახალი მთავრობა

პეკინი, 9 აგვისტო. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, დღეს ლაოსის ეროვნულმა კრებამ დაამტკიცა ახალი კაბინეტის შემადგენლობა, ბოლო მოუღო რა მთავრობის ორი თვის კრიზისს.

ახალ კაბინეტს სათავეში უდგას პრინცი სუვანა ფუმა (ეროვნული პარტია), რომელიც არის აგრეთვე ეროვნული თავდაცვის მინისტრი, ვეტერანების საქმეთა მინისტრი და ინფორმაციის მინისტრი.

წარუდგინა რა ეროვნულ კრებას კაბინეტის მინისტრთა სია, ფუმამ განაცხადა, რომ მთავრობის ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა ლაოსის ერთიანობის აღდგენა პატეტ-ლაოს ჯარის ნაწილების პრობლემის გადაჭრის გზით. მან აღნიშნა, რომ ამ პრობლემის გადაჭრისას საჭიროა ორივე მხარემ მტკიცედ და კეთილსინდისიერად დაიცვას მათ მიერ ხელმოწერილი შეთანხმებანი, განსაკუთრებით შეთანხმება კოალიციური მთავრობის შექმნის შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს 1956 წლის დეკემბერში.

მან განაცხადა, რომ კაბინეტი, რომელშიც წარმოდგენილი იქნებიან პატეტ-ლაოს ჯარის ნაწილები, ალბათ, ჩამოყალიბდება 1 ოქტომბრისათვის.

შეეხო რა საგარეო პოლიტიკას, პრინცმა ფუმამ განაცხადა, რომ მთავრობა განაგრძობს ნეიტრალიტეტის პოლიტიკას და იხელმძღვანელებს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპით. იგი მიესალმება უცხოეთის ყოველგვარ დახმარებას, რომელსაც თან არ ახლავს რაიმე პირობები ლაოსის სუვერენიტეტის საზიანოდ.

განცხადება ომანის წარმომადგენლისა კაიროში

კაირო, 12 აგვისტო. (საკდესი). ომანის საამბოხო წარმომადგენელმა კაიროში მუჰამედ ელ-ჰარსიმ განაცხადა, რომ, როგორც გამოირკვა, ინგლისელებმა ომანის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედების დაწყებამდე საიდუმლო შეთანხმება დადეს მასკატის სულთანთან. შეთანხმება ითვალისწინებს ინგლისის ინტერესების დაცვას ამ რაიონში.

ეს შეთანხმება, კერძოდ, მიმართულია შეერთებული შტატების წინააღმდეგ, რამდენადაც სულთანმა ვალდებულება იკისრა არ დათანხმდეს, რომ მასკატში გაიხსნას ამერიკის საკონსულო, რასაც დიდი ხანია ცდილობენ შეერთებული შტატები.

შეთანხმებაში აღნიშნულია ინგლისის განსაკუთრებული უფლებანი მასკატსა და ომანში. სულთანმა ვალდებულება იკისრა მიანიჭოს ინგლისელებს საქონლის უბაჟოდ შეზიდვის უფლება.

ჰარსი იუწყება, რომ შეთანხმებაში არის საიდუმლო მუხლები, რომლებიც ეხება ინგლისის მონოპოლიას მასკატისა და ომანის ნავთობის წყაროების ძიებასა და ექსპლოატაციაზე. ინგლისელები აძლიერებენ კონტროლს საგარეო ურთიერთობის დარგში სულთნის საქმიანობისადმი. მაგალითად, სულთანმა ვალდებულება იკისრა არ მიიღოს ინდოეთის კონსული, თუ ამას წინასწარ არ მოიწონებს ინგლისის კონსული მასკატში.

საომარი მოქმედება ომანში

ბეირუთი, 10 აგვისტო. (საკდესი). როგორც ბეირუთის რადიო იუწყება, მასკატის სულთნის ჯარები, რომლებსაც ინგლისის ქვეგანაყოფები დაეხმარეს და ინგლისელი ოფიცრები მეთაურობდნენ, დამარცხდნენ ნაზვის მისადგომებზე. ისინი იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ ათ კილომეტრზე და ბევრი დახოცილი დატოვეს ბრძოლის ველზე.

გაზეთი „ტელეგრაფი“, ეხება რა ინგლისის ჯარებისა და მასკატის სულთნის ჯარების ნაზვაზე შეტევის ჩაფუშვას, აღნიშნავს, რომ პოლკი, რომელიც ინგლისელ ოფიცერთა მეთაურობით უტევდა, ომანის აჯანყებულ ტომთა გაფორებულ წინააღმდეგობას წააწყდა ნაზვიდან ათ კილომეტრზე მდებარე დასახლებულ პუნქტთან.

იმამის წარმომადგენელმა ჰარსიმ კვლავ მოუწოდა მსოფლიოს ყველა ქვეყანას განახორციელონ ღონისძიებანი, რათა შეწყდეს სისხლისღვრა ომანში და ცნონ ომანის დამოუკიდებლობა.

საბჭოთა კავშირი გერმანელი ხალხის მეგობარია

პეკინი, 11 აგვისტო. (საკდესი). გაზეთ „გუანმინიბაოს“ მიმომხილველი, კომენტარს უკეთებს რა დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის სხდომაზე, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხრუშჩოვის სიტყვა დროული და სერიოზული გაფრთხილებაა დასავლეთ გერმანიაში გაბატონებული მთავრობის ბლოკისა და მისი დასავლეთელი პარტნიორებისათვის.

ადენაუერის მთავრობა, წერს მიმომხილველი, ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც აფერხებს გერმანიის გაერთიანებას და არღვევს გერმანიის მშრომელთა ინტერესებს, პოლიტიკას, რომელიც მონოპოლისტურ კაპიტალსა და მემამულეთა კონტროლს უქვემდებარებს დასავლეთ გერმანიას, ატომური ომის ბაზად აქცევს მას. ამას მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის უკანასკნელი ერთობლივი განცხადება გერმანიის საკითხზე. ასეთი პოლიტიკა სერიოზულ საფრთხეს უქმნის გერმანელ ხალხს, საფრთხეს უქმნის ევროპის ხალხთა უშიშროებას. საბჭოთა კავშირი გერმანელი ხალხის მეგობარია. იგი ევროპის უშიშროების ერთგული დამცველია და მტკიცედ გამოდის გერმანელი ხალხისადმი ყოველგვარი მუქარის წინააღმდეგ, ევროპის მშვიდობისა და უშიშროებისადმი მუქარის წინააღმდეგ.

ნ. ს. ხრუშჩოვის გაფრთხილებამ, წერს გაზეთი, უნდა გამოაფხიზლოს დასავლეთის ქვეყნები და ადენაუერის მთავრობა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხარეთა პალატის მიმართვა დასავლეთ გერმანიის ბუნდესრატისადმი

ბერლინი, 10 აგვისტო. (საკდესი). როგორც ბერლინის დემოკრატიული პრესა იუწყება, გუშინ ბერლინში გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხარეთა პალატის სხდომა, რომელმაც ერთსულოვნად მიიღო მომართვა დასავლეთ გერმანიის ბუნდესრატისადმი (ბონის პარლამენტის ზედა პალატა). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხარეთა პალატა მოუწოდებს ბუნდესრატის დეპუტატებს გულმოდგინედ განიხილონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინადადება ორი გერმანული სახელმწიფოს კონფედერაციის შექმნის შესახებ როგორც ამჟამად გერმანიის გაერთიანების ერთადერთი შესაძლო გზა.

ინდოეთის ვიცე-პრეზიდენტი რადჰაკრიშნანი ეწვევა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას

ულან-ბატორი, 10 აგვისტო. (საკდესი). როგორც მონღოლეთის პრესა იუწყება, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ჟ. სამბუმ მიიწვია ინდოეთის ვიცე-პრეზიდენტი რადჰაკრიშნანი მონღოლეთში. რადჰაკრიშნანი დათანხმდა ეწვიოს მონღოლეთს.

მწვანე კონცხი. სანატორიუმ „აჭარის“ საერთო ხედი. ფოტო შ. გოქაძისა.

მკითხველთა კონფერენცია

საქართველოს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში ამას წინათ გაიმართა „საერთაშორისო მესამე გეოფიზიკური წლისადმი“ მიძღვნილი მკითხველთა კონფერენცია. დარბაზში გამოფენილი იყო გეოფიზიკური წლის ჩატარების შესახებ არსებული წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, სურათები, პლაკატები და სხვ. ვრცელი მოხსენებით გამოვიდა მკითხველი ინჟინერი გ. კარბელაშვილი. გეოფიზიკური წლის ამსახველი ლიტერატურის მიმოხილვა გააკეთა ბიბლიოთეკის ტექნიკური ლიტერატურის განყოფილების გამგემ ე. კაკაროვამ. სიტყვებით გამოვიდნენ მკითხველები ა. აბზიანიძე, მ. რამიშვილი და ლ. შელკოვნიკოვი.

კონფერენციამ დამსწრეთა ინტერესი გამოიწვია.

ნავით იზმაილიდან ბათუმამდე

ბათუმი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა პატარა ნავი, რომელიც ჩამოვიდნენ საზღვაო გადასვლის — იზმაილ-ბათუმის მონაწილენი. გადასვლა მიეძღვნა დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს. მასში მონაწილეობდა დუნაის ნაოსნობის 8 მეზღვაური, მათ შორის ინჟინერ-კონსტრუქტორები, მექანიკოსები, რიგითი მეზღვაურები.

ნავმა სტარტი აიღო სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს — 14 ივლისს, გამოიარა ნავსადგურები: ოდესა, ევპატორია, სევასტოპოლი, იალტა, სოჭი, სოხუმი, ფოთი.

ბათუმის სპორტულმა საზოგადოებრიობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო სტუმრებს. იზმაილელი სპორტსმენები თბომავალ „გრუზია“ მშობლიურ ქალაქისაკენ გაემგზავრნენ.

სასამართლოს დარბაზიდან

მკვლელებს—დახვრეტა

ნაძირალები, ქურდები, ბანდიტები... თვითეული მათგანის ხელი ადამიანის სისხლშია გასვრილი. ისინი არავის არ ინდობდნენ, ოღონდ თვითონ უშრომლად, მუქთახორულად ეცხოვრათ.

ვახტანგ მიხეილის-ძე გიგაურმა სიჯაბუკიდანვე პატიოსანი შრომის ნაცვლად იოლი ცხოვრების გზა ირჩია და პატიოსან მოქალაქეთა ძარცვას მიჰყო ხელი. ორი წლის წინათ პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ მხეცურად მოკლა ცოლი და ტყეს შეაფარა თავი.

გასული წლის 9 ივლისს ვ. გიგაურმა და გ. არაბულმა შეიარაღებული თავდასხმა მოაწყეს თბილის-თიანეთის გზატკეცილზე მიმავალ ავტობუსზე, ატეხეს სროლა და გაძარცვეს მგზავრები. გ. არაბული დაპატიმრებულ იქნა, ხოლო ვ. გიგაური მიიმალა.

მალე იგი დაუკავშირდა მისებრ ნაძირალებს შ. ჭინჭარაულს, ბ. ჭინჭარაულს, გ. გიგაურსა და ი. ყორიაულს. ბანდიტები მოსვენებას არ აძლევდნენ მოსახლეობას, ძარცვავდნენ მაღაზიებს, ცალკეულ მოქალაქეებს, აწიოკებდნენ კოლმეურნეთა ოჯახებს.

...მიმდინარე წლის 14 მაისი. თბილისიდან თიანეთს წასული ავტობუსი საბადურის უღრან ტყეში შევიდა. წარმტაცი ბუნებით მოხიბლული, სასიამოვნო ფიქრებში გართული მგზავრები მოულოდნელმა შეძახილმა შეაცბუნა... ნილაბაფარებული ბანდიტი იარაღის ქნევით შეიჭრა მანქანის საფეხურს და მძღოლი აიძულა გვერდზე გადაეხვია. დაიწყო მგზავრების ძარცვა, შეშინებული ბავშვების ტირილი.

ნაძირალებმა იცოდნენ, რომ მალე უნდა გამოჩენილიყო მეორე ავტობუსიც. ამიტომ ორი მათგანი მის შესახვედრად გაიქცა. მგზავრებით დატვირთულ ავტომანქანაში იყვნენ ბავშვებანი დედები, თიანეთელი კოლმეურნეები და თბილისელი მუშა-მოსამსახურეები, აქვე იყო თიანეთის რაისაბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილების მუშაკი, უფროსი ლეიტენანტი გ. ჯაფარიძე, რომელიც არ შეუშინდა ხუთ შეიარაღებულ ბანდიტს და ზედიზედ დაახალა ტყვიები. აი წაიქცა მამაცი ოფიცრის ხელით დაჭრილი ბანდიტი, მგზავრების გაძარცვა ამჯერად არ ხერხდება, შეშინებული უყაჩაღები გარბიან და ახერხებენ დაჭრილი ამხანაგის წაყვანას.

ნაძირალების ტყვიებით დაიღუპა მამაცი მილიციელი გ. ჯაფარიძე და მოხუცი ქალი ა. ბერძენიშვილი.

დამნაშავეთა კვალის აღმოჩენასა და დაპატიმრებაში დიდი გამჭრიახობა და უნარი გამოიჩინეს საქართველოს სსრ მილიციის მუშაკებმა პოდპოლკოვნიკმა ვ. ვ. თალაკვაძემ და უფროსმა ლეიტენანტმა ო. პ. კიკნაძემ, რომლებმაც კოლმეურნეების დახმარებით 20 მაისს დაპატიმრეს ბანდის მეთაური ვ. მ. გიგაური. რამდენიმე დღეში დაპატიმრებულ იქნენ დანარჩენი ნაძირალებიც.

ამ დღეებში გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მილიციის მუშაკების ამხ. გ. კ. ჯაფარიძის წითელი ვარსკვლავის ორდენით (სიკვდილის შემდეგ) და ვ. ვ. თალაკვაძისა და ო. პ. კიკნაძის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

...შვიდ დღეს გაგრძელდა სასამართლო პროცესი თიანეთში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მ. ყ. ლომიძის თავმჯდომარეობით და რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის, იუსტიციის უფროსი მრჩევლის ა. ი. გიგაურის მონაწილეობით განიხილა ბანდიტების საქმე.

სასამართლომ გამოუსწორებელ ბანდიტებს ვ. მ. გიგაურს, გ. ა. გიგაურს და შ. ბ. ჭინჭარაულს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა. ბანდის წევრს ი. ნ. ყორიაულს 25 წლის, ხოლო მ. გ. ჭინჭარაულს 15 წლის პატიმრობა.

2-დან 5 წლამდე პატიმრობა მიესაჯათ სხვადასხვა პირებს ბანდიტების მფარველობისა და ხელშეწყობისთვის.

დარბაზში მყოფნი განაჩენს დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ.

ვ. მ. გიგაურის, გ. ა. გიგაურის და შ. ბ. ჭინჭარაულის მიმართ განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

კ. თემურიძე.

მშენებლის დღის აღსანიშნავად

11 აგვისტოს ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის სანაფიტრო თეატრში გაიმართა მშენებლის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

თეატრი გაივსო მუშებით, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებით, მშენებელი ორგანიზაციებისა და საწარმოების მოსამსახურეებით, პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოების წარმომადგენლებით.

კრება გახსნა მშენებლობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ბრეგაძემ. მოხსენება მშენებლის დღის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრმა ს. ლორთქიფანიძემ.

მშენებლებს მიესალმნენ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და თბილისის საბჭოს აღმასკომის სახელით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გ. ვაშაკიძე და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სახელით — საქართველოს პროფსაბჭოს კულტურისა და ყოფაცხოვრების განყოფილების გამგე ი. ჩოჩია.

საზეიმო კრების დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი.

• • •

საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის — მშენებლის დღის აღსანიშნავად ქალაქის პარკებსა და ბაღებში გაიმართა სახალხო სეირნობა.

ძერჟინსკის სახელობის სადღესასწაულო მორთულ სახაფხულო კლუბში მოვიდა ასეთით ქალიშვილი და ჯაბუკი — ახალგაზრდა მშენებლები კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მიერ მოწყობილ დასვენების საღამოზე.

70 მოწინავე მშენებელს გადაეცა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის ქების ფურცლები.

19 კაპიტალური სახლი

ონი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდის მრავალ ფაქტს შეხვდებით. მარტო სოფელ ღებში წელს 19 კოლმეურნემ აიშენა ქვიტკირის ახალი ორსართულიანი კაპიტალური სახლი. ს. ლობჯანიძე, მ. ლობჯანიძე, ბ. გოგრიჭიანი, ო. გავაშელი, შ. გობეჯიშვილი, ა. ლობჯანიძე და სხვები უკვე შესახლდნენ ახალ სახლებში.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ბ“ კლასი

ერევანი, 11 აგვისტო. აქ გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მესამე ზონის გუნდებს შორის. თამაშობდნენ ადგილობრივი „სპარტაკისა“ და კიროვის „დინამოს“ ფეხბურთელები. ანგარიშით 5:2 გაიმარჯვეს სპარტაკელებმა.

ქუთაისი, 11 აგვისტო. ადგილობრივი „ლოკომოტივისა“ და ბაქოს „ნეფტიანიკის“ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით ანგარიშით 3:0.

ფრენბურთელთა რესპუბლიკური პირველობა

ქუთაისში ექვს დღეს გრძელდებოდა რესპუბლიკის პირველობის გათამაშება მეორე ჯგუფის ფრენბურთელთა გუნდებს შორის.

ასპარეზობაში მონაწილეობას იღებდა ქუთაისის, ფოთის, გორის, ბორჯომის, თელავის და სხვა ქალაქების და რაიონების ვაჟთა 16 და ქალთა 7 გუნდი.

მეტად დაძაბული ბრძოლების შემდეგ პირველი ადგილი ვაჟთა შორის დაიკავა ქუთაისის „ტორპედომ“, მეორეზეა ფოთის გუნდი, ხოლო მესამეზე — თელაველი ფრენბურთელები.

ქალთა შორის ჩემპიონის სახელი მიენიჭა ლაგოდეხის გუნდს, მეორე საპრიზო ადგილი წილად ხვდათ სოღნაღელებს, მესამე — ბორჯომელებს.

პირველ ადგილზე გამოსულ ქალ-ვაჟთა გუნდებს გადაეცათ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი თასები, ხოლო მონაწილეებს — სიგელები.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

ორგანიზაციების, საწარმოების, სასწავლებლების ხელმძღვანელების, საუწყებო სახლების კომენდანტებისა და სახლთმფლობელების საყურადღებოდ

1957-58 წლების საზამთრო გათბობის სეზონისათვის ობიექტებისა და საცხოვრებელი სახლების დროულად მომზადების მიზნით საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო ახორციელებს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს, როგორიც არის:

საკვამლე მილების გაწმენდა ჭვარტლისაგან, ცენტრალური გათბობის რემონტი, ღუმელების წყობა და გადაწყობა, გამოწვა, საკვამლე მილებისა და ხის კონსტრუქციების შუა ძგიდეების რემონტი და გაყენთვა ცეცხლგამძლე ხსნარით, ქიმიურ ცეცხლსაქრობთა დამუხტვა და გადამუხტვა, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის რემონტი და დამზადება.

უშვებს პლაკატებს, ტრანსპარანტებს, სასწავლო სახელმძღვანელოებს ხანძარსაწინააღმდეგო თემებზე. აწყობს საუბრებს, მოხსენებებს, კინოს, ლექციებს და ხანძარსაწინააღმდეგო ტექმინიმუმის სწავლებას.

ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა და პირებმა უნდა შეიტანონ განაცხადი ნებაყოფლობითს სახანძრო საზოგადოებაში ა. წ. 15 აგვისტომდე შემდეგი მისამართით: ქალაქი თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 2. ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო, ტელეფონი 3-83-09.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ადგილებზე მიმართეთ ნებაყოფლობითს სახანძრო საზოგადოებებს.

საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად:

1. ეკონომიური გეოგრაფიის კათედრა — კათედრის გამგე, პროფესორი — 1.
2. ფიზიკის ფაკულტეტის მათემატიკის კათედრა — პროფესორი — 0,5 განაკვ.
3. ორგანული ქიმიის კათედრა — დოცენტი — 1.
4. ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა — დოცენტი — 1.
5. სსრკ ხალხთა ისტორიის კათედრა — დოცენტი — 0,5 განაკვ.
6. ფსიქოლოგიის კათედრა — დოცენტი — 1.
7. პედაგოგიკის კათედრა — დოცენტი — 1.

იმ პირებმა, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ კონკურსში, განცხადება უნდა შემოიტანონ უნივერსიტეტის რექტორის სახელზე და ამავე დროს წერილობით აცნობონ ამის შესახებ იმ დაწესებულების ხელმძღვანელს, სადაც ამჟამად მუშაობენ.

განცხადებას უნდა დაერთოს: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის სათანადოდ შემოწმებული პირი, სამეცნიერო წოდებასა და ხარისხში დამტკიცების საბუთების სათანადოდ შემოწმებული პირები, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია და რეცენზიები მათ შესახებ.

კონკურსის ვადაა 1 თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

უნივერსიტეტის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 1.

დღეს

თბილისის კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი (საზამთრო და საზაფხულო), **ისანი** (საზამთრო), **სპარტაკი, პლეხანოვის სახელობის კლუბი** — პოეტი, **ამირანი** (საზამთრო) — ამხანაგი გადის ზღვაში, **ამირანი** (საზაფხულო), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — ხიროსიმა, **ისანი** (საზამთრო), **ვაკის პარკი** — ციცაბო საფეხურები, **კომკავშირელი, საქართველო** (შწვანე დარბაზი), **ოფიცერთა სახლი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — ჩემი საწყალი საყვარელი დედა, **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **კოლხიდა** (საზამთრო), **კომუნარების ბაღი** — ბოდგოლიე ცეცხლში, **კოლხიდა** (საზაფხულო), — ბაში-აჩუკი, **ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — ღრუბლების გედისებრ გუნდს იქით, **კოლმეურნე** — ქეთო და კოტე, **დიდუბე** (საზამთრო) — მას უყვარხარ, **დიდუბე** (საზაფხულო) — ანა კოსერზე, **კიროვის სახელობის პარკი** — კვალი რჩება, **ყაზბეგი** — მე შევხვდი ქალიშვილს, **სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი** — სახელის მოსახვეჭად.

ტელეგადაცემათა პროგრამა

13 აგვისტოსათვის

20.00 — ლიტერატურული გადაცემა, 20.15 — საფესტივალო კინოჟურნალი, 20.25 — კონცერტი — გამოცანა, 20.45 — მხატვრული ფილმი — „გიორგი საკაძე“ — პირველი სერია.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური კურსები აცხადებს მიღებას 1957-1958 სასწავლო წლისათვის მანქანაზე წერისა და სტენოგრაფიის განყოფილებაზე.

კურსებზე მიიღებიან მდედრობითი სქესის მოქალაქენი. კურსებზე არის ორი სექტორი — ქართული და რუსული.

სტენოგრაფიის განყოფილებაზე მიიღებიან საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი, მანქანაზე. წერის განყოფილებაზე — ძირითადად საშუალო, აგრეთვე რვა კლასის განათლების მქონე მოქალაქენი.

კურსებზე შემსვლელი პირები გამოცდებს აბარებენ მხოლოდ მშობლიურ ენაში (წერა და ზეპირი).

მანქანაზე წერის განყოფილებაზე სწავლების ვადა ერთი წელია, სტენოგრაფიის განყოფილებაზე კი სამი წელი.

კურსები იმყოფება სამეურნეო ანგარიშზე.

განცხადების მიღება წარმოებს 23 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები 25 აგვისტოდან 30 აგვისტომდე.

კურსებზე შემსვლელმა პირმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: ავტობიოგრაფია, განათლების მოწმობა, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ორი ფოტოსურათი, დაბადების მოწმობა, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

კურსების მისამართი: თბილისი, ნინოშვილის ქ. № 57, ტელეფონი 3-39-40.

განცხადება მიიღება ყოველდღე დღის 3-დან საღამოს 7 საათამდე.

გრძელდება ხელმოწერა გაზეთ „Дружба“-ზე — ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ორგანოზე. გაზეთი გამოდის რუსულ ენაზე პეკინში.

გაზეთი გათვალისწინებულია მასობრივი მკითხველისათვის.

ხელმოწერის ფასი თვეში 5 მანეთი.

ხელმოწერა მიიღება განუსაზღვრელად **კავშირგაბმულობის ყველა კანტორაში, განყოფილებებში,** აგრეთვე **„სოიუზპეჩატის“** ყველა განყოფილებაში.

„სოიუზპეჩატი“.

მამა აბესალომ, და ქსენია მაჭავარიანი ოჯახით იუწყებიან

ელენე აბესალომის ასულ ქაშაკაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-VIII, 6 ს. სოფ. მაიაკოვსკში.

ძმა ფილიმონ, და ქაბატო, რძლები ელენე, თამარ, სიძე გ. კობერიძე ოჯახებით იუწყებიან

ნუცა დუშას ასულ გიგიტაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-VIII, 5 ს. სოფ. ქვიშხეთში.

მეუღლე ევგენი, შვილები ნათელა, კარლო, ავთანდილ, ძმა ნიკოლოზ, დები თამარ, მარგარიტა, რძლები ლამარა, მერი, სიძეები ლეონიდე, კალენიკე, გიორგი იუწყებიან

მარო იაკობის ასულ ძიძიგური-ბირბიჩაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14-VIII, 8 ს. გამოსვენება 15-VIII, 5½ ს. საჩხერის ქ. № 10.

მეუღლე ევგენია, შვილი ლილი, ძმა მინა, დები თამარ, ლიდა, სიძე შ. ჩხეიძე, რძალი საშა ოჯახებით იუწყებიან

ვასილ ალექსის-ძე კაკაბაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-VIII, 6 ს. ქ. ქუთაისში, გამოსვენება ბინიდან, ივ. მარდალეიშვილის ქ. № 21.

მოქალაქე **დომენტი სარდიონის-ძე მიქელაძემ** მცხოვრებმა ქ. ბორჯომ-ბაღში კიროვის პირველი შესახვევი № 12, აღძრა საქმე ქ. თბილისში თელავის ქ. № 4 მცხოვრებ მოქალაქე **ვენერა იასონის ასულ ცუცქირიძე-მიქელაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **სერგო მიხეილის-ძე ხოჭოლავამ,** მცხოვრებმა ავჭალის გზატკეც. № 11, აღძრა საქმე ავჭალის გზატკეც. № 2 მცხოვრებ მოქალაქე **გალინა ანდრიას ასულ ფედოროვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლო.

მეუღლე დავით, შვილები ქეთო, შოთა, რძალი თამარ, სიძე სოსო იორამაშვილი იუწყებიან

მელო ნიკოლოზის ასულ პარუნაშვილი-ბიბილურის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14-VIII, 8 ს. გამოსვენება 15-VIII, 5½ ს. ქებურიას ქ. № 49.

შვილები კობა, თინა, რძლები შუშანა, სალომე, თამარ, ლიანა, სიძე მიხეილ ყვარელაშვილი ოჯახებით იუწყებიან

თომა ბესარიონის-ძე მეგრელიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14-VIII, 8 ს. გამოსვენება 15-VIII, 6 ს. ჩოღურეთის ქ. № 2/13.

დედა ზაირა, მამა ვალერიან, დები ანეტა, მარინე; ვლადიმერ, გიორგი, შალვა ცხოვრებაშვილი ოჯახებით იუწყებიან პატარა

გრიშა ვალერიანის-ძე მაისურაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 13-VIII, 6 ს. აკ. წერეთლის ქ. № 22.

მეუღლე რიფსიმე, შვილები გულჯავარ, ვახტანგ ურუშაძეები; ლეონინე, ყირიმ ზენაიშვილები იუწყებიან

გიორგი ნიკოლოზის-ძე ურუშაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-VIII, 5 ს. ლანჩხუთში.

უე 03602